5/2ლ/10552

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ

# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 1 ნოემბერი № 120 (11606) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

**ძველი** რომაელები ამბობდნენ — დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო. სულ რამდენიმე წლის წინ შეუძლებელიც კი იყო იმის წარმოდგენა, რაც დღეს ხდება.

1990 წლის 28 ოქტომბერი ისტორიული დღეა — ამ დღეს საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. წინ გველოდება მრავალი სიახლე, მაგრამ, ამავე დროს, — მრავალი საშიშროებაც. ადამიანი ხდება ულმობელი, უნდო, შენდობის უნარს მოკლებული. გახშირდა მძიმე დანაშაულობანი, მათ შორის კაცის კვლა. ქართველი ქართველს ემუქრება სიკვდილით და ხშირად ასრულებს კიდეც ამ მუქარას.

ამიტომ ამ ისტორიულ დღეს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც 28 ოქტომბერს წირვის შემდეგ წაკითხულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საგანგებო ბრძანება



## საგანგებო ბრძანება

1990 წლის 28 ოქტომბერი.

**სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ვბრძანებ:**

**დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.**

**მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.**

**საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე — ძმათა კვლა.**

**ილია II,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

●

საქართველოს საპატრიარქომ თხოვნით მიმართა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააცნონ მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეს საგანგებო გადაწყვეტილება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

## სოლომონ II ჩამოსასვენებელ საორგანიზაციო კომისიაში

**დავიწყება, მალე დავიწყება, უსახელოდ გაქრობაა მათი ხვედრი, „გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი". რამდენი მოღვაწის „ნავალი" ამჩნევია ქართველთა სულს, საშვილიშვილოდ გადასაცემად. მათ შორისაა სოლომონ მეორე, ქართველთ თავისუფლებისათვის მუხლჩაუხრელად და ხმალჩაუგებლად მებრძოლი გმირი მეფე იმერეთისა, რუსეთის თვითმპყრობელობასთან უთანასწორო ბრძოლაში დაღლილ-დაქანცულს უცხოეთში რომ ამოხდა სული. „დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო". ამ სტრიქონებში ალბათ, ყველა სამშობლოდან გადახვეწილი მამულიშვილის ტკივილიანი სათქმელი ჩაატია აკაკიმ. სათქმელი? არა ანდერძი, დღესაც რომ ვედრებასავით მოგვესმის და გმირ წინაპართა უცხო მხარეში ჩამდნარი სხეული ქართულ მიწაში სამვალეს ითხოვს.**

საზოგადოებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ მონარქისტული პარტიის თაოსნობით, სოლომონ მეორის საფლავის მოსაძიებლად და მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსასვენებლად თურქეთს გაემგზავრა ექსპედიცია, რომელიც სულ რამდენიმე დღეა თბილისში დაბრუნდა. ამასთან დაკავშირებით, 30 ოქტომბერს მონარქისტული პარტიის შტაბ-ბინაში ჩატარდა სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მოხსენებით გამოვიდა ბატონი ოთარ ჯაფარიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპედიციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები. როგორც მეცნიერმა ბრძანა, წმინდა გრიგოლის ბერძნული ეკლესია, რომლის ეზოშიც იყო დაკრძალული სოლომონ II, დაინგრა 30-იან წლებში. მის ადგილას აუშენებიათ კლუბი, რომელიც 1963 წელს დაუნგრევიათ. მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ რთულ პირობებში მოუხდა ექსპედიციას მუშაობა. მიუხედავად სიძნელეებისა, არქეოლოგებმა მიაკვლიეს სოლომონ II-ის ნეშტს. სათანადო გამოკვლევები ჩაატარა კომპეტენტურმა კომისიამ.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ: თემურ ქორქოლიანი, რეზო ამაშუკელი, გურამ შარაძე, გოგი ხაინდრავა და სხვანი.

განიხილეს აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები და ახლო მომავალში ქართული მიწა კიდევ ერთ მამულიშვილს მიიბარებს, ამჯერად უკვე სამუდამოდ.

სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ტრაპიზონის მერიის გადაწყვეტილებით, ადგილზეც აღდგება სოლომონ II-ის საფლავი, როგორც სიმბოლო მომავალში კეთილმეზობლური ურთიერთობისა.

უფრო დაწვრილებით საორგანიზაციო კომისიის მუშაობის შესახებ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

**მაკა ლეჟავა**

## ქვეყნისწვრ ბეთისხვეზლოვუგი

## ძვირფასო მკითხველებო!

მშვენიერება გადაარჩენს კაცობრიობას!

პეგასი

PEGASUS

1990

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ორგანო

AGENCY OF INTERNATIONAL CULTURAL ASSOCIATION OF GEORGIA

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის გაზეთი „პეგასი", რომელიც ქართული კულტურის პროპაგანდისტია ჩვენშიაც და საზღვარგარეთაც, დღემდე ერთადერთი სპეციალიზებული გაზეთია. მართალია „პეგასი" „ახალგაზრდა ივერიელთან" ერთად გამოდის და ამ გაზეთის ჭერჭერობით სულ ოთხი ნომერი არსებობს, მაგრამ მან უკვე გაიჩინა საკუთარი მკითხველი. მათ, და საერთოდ ყველას, ვინც დაინტერესებულია მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების სიახლეებით, ვურჩევთ გამოიწეროს „პეგასი", რომელიც ახალი წლიდან დამოუკიდებლად გამოვა.

„პეგასის" ინდექსია

66419

„ხომ სიმართლეა, — წერს უდმურტი პუბლიცისტი ერმოლაევი (ჟურნ. „დრუჟბა ნაროდოვ“, 1989, № 5), — რომ დღეს უდმურტეთის ოლქკომის არცერთი მდივანი არ არის უდმურტი, რომ იჟევსკის (დედაქალაქის — თ. მ.) ქალაქკომის მდივანთა შორის უდმურტი არცერთი არაა. ხომ სიმართლეა, რომ თუკი ვინმეს აწინაურებენ უდმურტთაგან, მხოლოდ დედაენის არმცოდნეებს (ასეთები უდმურტთა შორის მრავლად არიან). სიმართლეა ისიც, რომ სახალხო განათლების მინისტრი, თუმცა ანკეტის მიხედვით უდმურტია, მშობლიურ სიტყვას ძლივს წარმოთქვამს, ხოლო კულტურის მინისტრმა საერთოდ არ იცის უდმურტული... სიმართლეა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხუთივე უმაღლესი სასწავლებლის რექტორთა შორის უდმურტი არცერთი არ არის“ (გვ. 160).

ეს მონაცემები, ცხადია, არავითარ კომენტარს არ საჭიროებს, ისევე, როგორც შემდეგი მონაცემები:

„იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკიდან არიან დასახელებულნი საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებად, — წერს ა. ერმოლაევი, — მე უდმურტებს ვერ ვხედავ... თუ რესპუბლიკური პრესის პუბლიკაციებით ვიმსჯელებთ, უდმურტეთის წარმომადგენელი ეროვნებათა საბჭოში, უწინდებურად, საკავშირო მინისტრი იქნება“ (გვ. 162).

უდმურტები უძველესი ფინოუგრული მოდგმის (ანუ ფინელების, ესტონელების, უნგრელების მონათესავე) ერია. რიცხობრივად ისინი აფხაზებზე დაახლოებით ცხრაჯერ მეტნი არიან. უდმურტები მეტნი არიან, ვიდრე აფხაზები და ოსები ერთად აღებულნი (უდმურტთა რაოდენობა შეადგენს 800 ათასს), მაგრამ შეიძლება შევადაროთ ამ უძველესი კულტურის წარმომადგენელი ერის მდგომარეობა აფხაზთა და სამხრელ ოსთა მდგომარეობას?! აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში უდმურტთა დარი ხვედრი მკვიდრ ქართველ მოსახლეობას ერგო.

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაშია უდმურტული ენა და კულტურა.

ა. ერმოლაევი აღნიშნავს, რომ „უდმურტეთის ეროვნულ თეატრს (ერთადერთს), შექმნილს ჯერ კიდევ 1931 წელს, დღემდე არ გააჩნია შენობა“. უკანასკნელ ხანს საზოგადოებას გამოუთქვამს აზრი, რომ საჭიროა თეატრს ჰქონდეს საკუთარი ჭერი, მაგრამ ეს აზრი არ გაუზიარებია ოლქკომის პირველ მდივანს (გვ. 160).

რაც შეეხება დედაენის სავალალო მდგომარეობას, ამის მიზეზად ა. ერმოლაევს მიაჩნია ის, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო, სადაც შესაძლებოდეს უდმურტულის გამოყენება. არ არსებობს ეროვნული სკოლები, ხოლო ბევრ სკოლაში საერთოდ არ ასწავლიან დედაენასა და მშობლიურ ლიტერატურას (იქვე).

განათლების სისტემის სავალალო მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ „ჩვენში მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანო განიცდის კადრების უმწვავეს დეფიციტს. განსაკუთრებით ეროვნული კადრებისა. ამის გამოც გაზეთები არაკვალიფიციურ დონეზე იბეჭდება“ (იქვე).

უსათუოდ უნდა ითქვას, რომ უდმურტული ენისა და კულტურის, სახალხო განათლების სავალალო მდგომარეობის. აგრეთვე საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ დეფორმაციებს აქვს გარკვეული „გამართლება“. საქმე იმაშია, რომ უდმურტები თავიანთ რესპუბლიკაში ოცდაათ პროცენტსღა შეადგენენ. კვლავ ა. ერმოლაევს მოვუსმინოთ: „რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა ჩამოყალიბდა ხელოვნური ინტეგრაციის პოლიტიკის წყალობით... მრეწველობის ექსტენსიური განვითარების გამო დღემდე გრძელდება სამუშაო ძალის დიდი რაოდენობით იმიგრაცია რესპუბლიკაში“... (იქვე). რაც შეეხებათ თვითონ უდმურტებს, მათი თითქმის ნახევარი „განსახლდა“ ბრესტიდან ვლადივოსტოკამდე, ანტიმანსიისკიდან დუშანბემდე. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ცხოვრების პირობები უდმურტულ სოფელში აუტანელი შეიქმნა... იჟევსკში თუ ომამდე 200 ათასი კაცი ცხოვრობდა, დღეს უკვე 660 ათასია“ (იქვე). დედაქალაქის მოსახლეობის ზრდა თითქმის მთლიანად მიგრანტთა ხარჯზე მოხდა.

როცა ერს უკლავენ ენას და კულტურას; როცა ამ ერის წარმომადგენლებს გზას უკეტავენ პასუხსაგებ თანამდებობისაკენ, რის შედეგადაც ერს აღარ ჰყავს ადამიანები, რომელნიც შესძლებენ მის ინტერესთა დაცვას; როცა ერს ერეკებიან მშობლიური მიწაწყლიდან და მის ათასწლოვან სამშობლოში მასობრივად ასახლებენ გადამთიელებს, რა არის ეს თუ არა **გენოციდი!**

ორმოცდაათიან-სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზი ბიუროკრატები და პროვოკატორები რ. ს. ფ. ს. რ.-ს „სამოთხეს“ ელტვოდნენ და თავიანთ რიგით თანამემამულეებს ყურებს უჭედავდნენ ბედნიერი ცხოვრების დაპირებებით, სწორედ იმ დროს რ. ს. ფ. ს. რ-ში თანამიმდევრულად, გეგმაზომიერად ხორციელდებოდა ეროვნულ უმცირესობათა გენოციდის პოლიტიკა.

იმისათვის, რომ მოესპოთ უდმურტეთის, უდმურტი ერის (და, ცხადია, არამხოლოდ მისი) სახსენებელი, დაიწყეს დედამიწაზე მათი კვალის ყველანაირად მოსპობა. იერიში მიიტანეს ტოპონიმიკაზე. „საშინლად დამახინჯებულია ადგილობრივი ტიპონიმიკა“ (გვ. 160), — წერს ა. ერმოლაევი. (ყველას გვახსოვს, რომ ერთი ერთგული ბრეჟნეველის გარდაცვალების შემდეგ უდმურტეთის დედაქალაქს „უსტინოვი“ უწოდეს).

რაკი ერის ორ მესამედზე მეტი ისტორიული სამშობლოდან გაასახლეს, ცხადია, შეიქმნა ხიფათი, რომ ისინი მოსწყდებოდნენ მშობლიური ეთნოკულტურის სტიქიას და დისიმილირდებოდნენ. სამშობლოდან შორს მცხოვრებმა ადამიანებმა რომ შესძლონ ეროვნული თვითშეგრძნების შენარჩუნება, საჭიროა მათი ყოლა მშობლიური კულტურის გავლენის სფეროში, ხოლო დიასპორებში სათვისტომოების დაარსება. ვნახოთ, რა მდგომარეობაში არიან ამ მხრივ უდმურტი ემიგრანტები.

„ვერადავერ მივაღწიეთ უდმურტული წიგნების გაყიდვას მეზობელ რესპუბლიკებსა და ოლქებში... ხოლო იჟევსკში შეუძლებელია თათრული (თათრეთის რესპუბლიკა უდმურტეთს ესაზღვრება. — თ. მ.) წიგნის ყიდვა“ (გვ. 161). ა. ერმოლაევი მოკრძალებით ნატრულობს: „საჭიროა მეზობელ რესპუბლიკებში გვქონდეს თუნდაც პატარა წარმომადგენლობები და კულტურული ცენტრები“.

ჩვენც ვისურვოთ, რომ ახდეს უდმურტი ჟურნალისტის ნატვრა, თუმცა აღვნიშნავთ, რომ რუსეთის კონსერვატორულ ძალთა შორის ისტერიული პროტესტები გამოიწვია სათვისტომოების შექმნის იდეამ. „ნაშ სოვრემენნიკმა“ და სხვა მისებრმა გამოცემებმა არაერთგზის გაიმეორეს კატეგორიულად, რომ ერთად თავშეყრილი ნაცმენები უსათუოდ ანტისაბჭოურ ძირგამომთხრელ საქმიანობას მიჰყოფენო ხელს.

ხომ ჯოჯოხეთურ ყოფაშია უდმურტიელი, მაგრამ ყველაზე საშინელი, რაც მას სჭირს, ისაა, რომ «кругом бушуют страсти. А у нас — тишь» (გვ. 160). ამ ფრაზებით იწყებს ა. ერმოლაევი თავის სტატიას. თუმცა იქვე აღნიშნავს: „ძალიან დაკვირვებული მზერით შეიძლება შევნიშნოთ, რომ ჩვენშიც, უდმურტეთშიც ზოგიერთი ადამიანი ბოლო ჟამს თითქოს იღვიძებს“. ამ „გამოღვიძების“ დასტურად პუბლიცისტს ესახება შემდეგი: „დაიწყო მსჯელობა იმაზე, საჭიროა თუ არა გაზეთის გამოცემა ჩრდილოელ უდმურტთა ენაზე. საჭიროა თუ არა სკოლაში უდმურტული ენის ცალკე საგნად სწავლება (უცხო ენის პარალელურად“).

საერთოდ ა. ერმოლაევის სტატიას წითელ ხაზად გასდევს ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ უკიდურესი მინიმალიზმი. მოთხოვნები გამოთქმულია მეტისმეტად მოკრძალებით, ფრთხილად, შეიძლება ითქვას, მფრთხალადაც კი. პუბლიცისტს, ეტყობა, ეჩვენება, რომ მეტისმეტად ერეტიკული აზრები გამოთქვა და ყველანაირად ცდილობს მათ განეიტრალებას:

„რაიმეგვარი განზოგადებების გაკეთებას არ ვაპირებ“ (161). „მე არ მაღელვებს რა ეროვნებისანი იქნებიან ხელმძღვანელი მუშაკები“ (გვ. 160). „რესპუბლიკაში უდმურტთა ხვედრითი ოდენობა მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს, ამიტომ ყურადღებაც მხოლოდ 30 პროცენტით გვეკუთვნის“... (იქვე).

ამ ფრაზებიდანაც ჩანს, რომ ათწლეულების მანძილზე ადამიანებისა და მთელი ერების ძვალ-რბილში გამჯდარი მისტიკური შიში ჯერ სრულიად არ გაფანტულა. პირიქით, გარკვეული ძალები დღესაც ყველაფერს აკეთებენ, რათა არასოდეს გაიფანტოს შიში. ამის დასტურია შემდეგი ფაქტი მოტანილი ა. ერმოლაევის მიერ: ისტორიკოს ვ. გუსევს „უდმურტსკაია პრავდას“ ფურცლებზე გამოუთქვამს აზრი, რომ საჭიროა უდმურტების დაწინაურება ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამ „ნაციონალისტური გამოხდომისათვის“ ვ. გუსევი მკაცრად გააკრიტიკეს რესპუბლიკურ პარტკონფერენციაზე („ექსტრემისტი“ უწოდეს). იგი გააკრიტიკა პირადად იჟევსკის ქალაქკომის პირველმა მდივანმაც.

ასეთი სანქციების შემდეგ, ბუნებრივია, ვ. გუსევიც და სხვებიც დიდი ხნით დაკარგავენ „ნაციონალისტობის“ ხალისს.

თავს აღარ შევაწყენ მკითხველს იმის მტკიცებით, რომ უდმურტთა ბედი არ არის გამონაკლისი. ასეთივეა (ან გაცილებით უარესიც) ხვედრი რუსეთის ფედერაციის ყველა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ერებისა.

●

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყაზახეთი ათწლეულების მანძილზე იყო ერთ-ერთი ყველაზე „თვინიერი“, კრემლის დამჯერე რესპუბლიკა. ყაზახი ინტელიგენცია და ჩინოვნიკები მუდამ გულში ეკვროდნენ მეტროპოლიას. თუ რა შედეგებამდე მიიყვანა ამგვარმა პოლიტიკამ ყაზახეთი, ქვემოთ ვნახავთ. ყაზახეთის მაგალითი სანიმუშო უნდა იყოს ყველა იმ ერისთვის, რომლის ლიდერები დღემდე აფრიალებენ ლე-

აულების განადგურება, ყაზახთათვის წმიდათაწმიდა ადგილების შებილწვა;

ყაზახები გააბედნიერეს სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონით, რის შედეგადაც, რესპუბლიკის ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი რადიაციით ყველაზე დაბინძურებული ადგილია მსოფლიოში. თანაც ეს ტრაგედია ხელთქმნილია და არა უნებლიე, როგორც ჩერნობილი...

მრავალი უბედურება სჭირს ყაზახ ერს, მაგრამ მე მინდა დავიწყო იმით, რამაც ყველაზე მეტად შემზარა.

„პრავდაში“ (5.III.1987) დაიბეჭდა ყაზახეთის სახალხო მწერლის აბდიჟამილ ნურპეისოვის სტატია, რომელშიც ავტორი თავდაპირველად გულისტკივილს გამოთქვამს ყაზახთა მიერ დედაენის მივიწყების [illegible] გამო, მაგრამ შემდეგ ხოტბას ასხამს ორენოვნების პოლიტიკას ანუ იმ პოლიტიკას, რომელმაც ესოდენ სავალალო ვითარება შექმნა ყაზახეთში. ა. ნურპაისოვი წერს: „ორენოვნება ეროვნულ რესპუბლიკებში ცხოვრების ნორმაა“. შემდეგ იმისათვის, რომ უფრო

ათწლეულების [illegible] გორი იყო მისი [illegible] მურ გამოცდათაგან გამოწვეულ საშინელ შედეგებზე? ერთადერთი, რასაც ხელისუფლება აკეთებდა, იყო ის, რომ „ჯანმრთელობის სამინისტროს მესამე მთავარმა სამმართველომ გაასაიდუმლოვა სამედიცინო გამოკვლევათა მონაცემები“. თუ როგორ ზრუნავენ მოსახლეობაზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ო. სულეიმანოვის ამ განცხადებით: „პოლიგონის მიმდებარე რაიონებში ბირთვულ აფეთქებათა 40 წლის მანძილზე არ აშენებულა ჯანდაცვის არცერთი პუნქტი“.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ასეთი კოშმარის წარმოდგენა ნამდვილად ვერ შესძლო თვით ყველაზე კოშმარული ფანტაზიის მქონე მწერალმა ფრანც კაფკამ.

და მაინც სიტყვას არ ძალუძს ტრაგედიის მასშტაბის სრულფასოვნად გადმოცემა. თვითონ ადამიანიც თითქმის ყველაფერს შეეჩვია ჩვენს დროში და ჩვენს სახელმწიფოში, მაგრამ ვცადოთ. ერთი წუთით ჩვენს თავზე წარმოვიდგინოთ ერთი პატიოსანი, გამრჯე სემიპალატინსკელი ოჯა-

### თემურ მირიანაშვილი

# ჩვენ, აფხაზები და სხვანი

## წერილი მესამე—მრავალრიცხოვან ერთა ხვედრი

**განვაგრძობთ თ. მირიანაშვილის ნაშრომის პუბლიკაციას, რომელიც მკითხველს დაარწმუნებს, რომ საქართველოში მცხოვრები აფხაზები და ოსები არიან ყველაზე პრივილეგირებულნი საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმცირესობათა შორის. ნაშრომის დიდი მოცულობის გამო, ვბეჭდავთ ფრაგმენტებს.**

**როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციაში არის რამდენიმე ავტონომიური რესპუბლიკა, რომელთა მკვიდრი მოსახლეობის ოდენობა ასეულ ათასებსა და მილიონებსაც კი შეადგენს. ყველა ამ ერს, არსებითად, ერთგვარი ბედი აქვს. თუ როგორი — უდმურტების მაგალითზე ვნახავთ. ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობისათვის საკმაოდ ტიპურია ყაზახეთის მდგომარეობა.**

**ჩვენი სერიის მომდევნო, უკანასკნელ სტატიაში მკითხველს საშუალება ექნება, ერთმანეთს შეადაროს, ერთი მხრივ, აფხაზთა და სამხრელ ოსთა, ხოლო მეორე მხრივ, მათი უახლოესი მეზობლების — ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრ ერთა მდგომარეობა. ის პუბლიკაცია მკითხველს დაანახვებს, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე ავტონომიებში შექმნილი მდგომარეობა ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწა, სამოთხე და ჯოჯოხეთი!**

ნინის სურათებს, ორთოდოქსალური მარქსიზმის ლოზუნგებს.

აქ უნდა ითქვას ისიც, რომ საბჭოთა ნაცმენებს შორის ქართველებმა თითქმის ყველაზე უკეთ შევძელით დაგვეცვა ერის სულიერი ფასეულობანი. ეს შეგვაძლებინა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის განუწყვეტელმა (ხან ფარულმა, ხან აშკარა) ბრძოლამ კრემლის დიდმპყრობელობის წინააღმდეგ. მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლამ შეგვაძლებინა სხვა ერებზე უკეთ დაგვეცვა კულტურა, ტრადიციები; შეგვენარჩუნებინა ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსი; თავიდან აგვერიდებინა სკოლის რუსიფიკაცია; სამოცდაათიან წლებსა და ოთხმოციანის პირველ ნახევარში დაგვეარსებინა თეატრები, ჟურნალ-გაზეთები, რაც მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტური უმრავლესობისათვის სრულიად წარმოუდგენელი ამბავი იყო (ავტონომიებზე აღარას ვამბობ); რაც მთავარია, შეგვაძლებინა თავიდან აგვერიდებინა შიდა რუსეთიდან მიგრანტთა მილიონიანი ბრბოების შემოსახლება საქართველოში...

ქართველი ერის ბრძოლის შედეგად მოგებულნი დარჩნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანიც. პირველყოვლისა — აფხაზები და ოსები, რომელთაც ავტონომიების კვალობაზე პირდაპირ იდეალური პირობები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა და ოსთა ლიდერები ახორციელებდნენ და ახორციელებენ მოღალატურ პოლიტიკას, ჯიუტად განაგრძობენ სვლას იმ გზით, რომელზე სვლამაც თვით მრავალმილიონიანი ერები ტრაგედიამდე მიიყვანა.

რა მოუტანა ყაზახეთს მისი ინტელიგენციისა და პოლიტიკური ლიდერების გაუთავებელმა ფლირტმა კრემლთან? ყაზახი ერი, როგორც ვნახავთ, გაანახევრეს; მისი სამშობლო გადააქციეს „ინტერნაციონალიზმის ლაბორატორიად“, რაც იმაში გამოიხატა, რომ ხელოვნური მიგრაციის წყალობით, ყაზახთა ხვედრითი ოდენობა რესპუბლიკის მოსახლეობაში მესამედამდე დავიდა; ის უკიდეგანო ქვეყანა გააბედნიერეს ყამირის ათვისებით 50-იან წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ეკოლოგიური კატასტროფა,

აამოს ხელისუფლებას, დასძენს: „ორი მოძმე ხალხის ორი ენა უნდა მივიღოთ როგორც ერთი დედის ორი ძუძუ“.

რუსულ ენას, ცხადია პატივი უნდა ვცეთ (ისევე, როგორც სხვის დედას), მაგრამ როცა **სახალხო მწერალს** ასეთი შედარებები მოაქვს, როცა კარიერისტი მანქურთების მიერ იბღალება ყველაზე წმიდათაწმიდა, როცა დედის ძუძუც სპეკულირების საგნადაა გადაქცეული, ეს უფრო საშინელია, ვიდრე სემიპალატინსკის რეაქტორის ოთხათეულწლოვანი გამოსხივება!..

დიახ, ბევრი უბედურება სჭირს ყაზახებს. ზოგი ამ უბედურების მასშტაბის წარმოდგენაც კი ჭირს. ვლადიმირ შუბკინი წერს („ნოვი მირ“, 1989, № 4, გვ 171): „ოციან წლებში ყაზახთა რიცხვი ექვს მილიონს შეადგენდა, კოლექტივიზაციის შემდეგ კი —სამ მილიონს“. სულ რამდენიმე წელიწადში ერი გაანახევრეს! ხოლო იმაზე, თუ რა კოშმარი დაატყდათ თავს გადარჩენილებს, ქვემოთ ვიმსჯელებ.

სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე გამოსვლისას (9.VI.1989) მწერალმა ოლჟას სულეიმანოვმა სემიპალატინსკის პოლიგონზე მსჯელობა ამით დაიწყო: „სემიპალატინსკის ოლქი უძველესი ტრადიციის მიწაა. იქ იბადებოდნენ დიდი ყაზახი მწერლები. ეს ველი და მთები არის ჩვენი იასნაია პოლიანა, მიხაილოვსკოე, ტარხანი და სწორედ ამ ადგილებში მოქმედებს ატომური პოლიგონი“. თავდაპირველად ბირთვული აფეთქებები ხდებოდა პირდაპირ ატმოსფეროში, შემდეგ მიწის ქვეშ, მაგრამ საქმეს ეს ვერ შველის. „12 თებერვალს გაიპარა რადიაქტიური გაზი, ამგვარი შემთხვევები ადრეც იყო. მრავალი შემთხვევა, როცა ათასობით ბავშვი ერთსადაიმავე დღეს წვება ლოგინად, ეწყებათ ცხვირიდან სისხლის დენა, თავბრუსხვევა და სხვა სიმპტომები სისხლის დაავადებისა“.

ო. სულეიმანოვმა აღნიშნა, რომ არცერთ ქვეყანაში არ აქვთ ატომური პოლიგონი მოსახლეობასთან (მითუმეტეს, ერისათვის წმიდათაწმიდა ადგილებთან!) ესოდენ ახლოს.

ეხლა ესეც ვიკითხოთ, რა ზომას მიმართავდა ხელისუფლება

ხის უბედურება, რომლის შესახებაც მკითხველს მოუთხრო „კომსომოლსკაია პრავდამ“ (15 V.1989). „მძღოლმა ტელტაიმ და მისმა ახალგაზრდა ცოლმა რიმჟანმა არ იცოდნენ, რომ დედამიწის რხევასთან ერთად მათს ოჯახში უბედურება იჭრებოდა... ორი თვისა მოუკვდათ პირველი შვილი, უდღეური გამოდგა მეორეც, მესამე კი მახინჯი, უხელო იშვა. თავზარდაცემულმა მამამ შესძახა: „კირიპბეკ!“ („უბედური“). ეს სახელი შერჩა ბიჭს“. დღეს 21 წლის კირიპბეკი 12-13 წლისას ჰგავს. სამწუხაროდ, მარტო ეს ჭაბუკი როდია უბედური: „მკვეთრად გაიზარდა ფსიქიკური დაავადებები, ემოციური სტრესები, რადიოფობია, მემკვიდრეობითი ლეიკოზი, კანის კიბო, ქვეითდება შობადობა“.

აქამდე ჩვენ მხოლოდ სემიპალატინსკის ოლქს შევეხეთ. ვნახოთ, იქნებ სხვაგან ხარობს და ყვავის ყაზახი ერი? სამწუხაროდ, არა, „დრუჟბა ნაროდოვში“ (1988, № 10) გამოქვეყნდა ტირკოშ ჯუმაგელდიევასა და ვლადიმირ იავოროვსკის დიალოგი, რომელშიც ყაზახი მწერალი თავის ერის მდგომარეობას უწოდებს ტრაგიკულს, ჯოჯოხეთურს.

მწერალი ანუარ ალიმჟანოვი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს თავისი ერის ტრაგედიაზე („დნ.“ 1988, № 5) ყამირის ათვისების დროს. იმიგრანტმა „კომუნიზმის მშენებლებმა“ გადახნეს საფლავები (დიდი ყაზახი პოეტის მავზოლეუმიც კი დაუნგრევიათ); მოსპეს ეროვნული საბავშვო ბაღები; გააერთიანეს რუსული და ყაზახური გაზეთების რედაქციები; ყოველგვარი უფლება აჰყარეს ყაზახურ ენას; თვითნებურად სცვლიან ტოპონიმებს; დომბრაზე (ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტია) დაკვრა ადგილობრივი შოვინიზმის გამოვლინებად გამოაცხადეს; კატასტროფამდე მიიყვანეს ეკოლოგია... რაც შეეხება „საუკუნო ძმობას“, იგი შემდეგში გამოიხატა: ხრუშჩოვის მითითებით დაამზადეს ძეხვი „დრუჟბა“ —ღორისა და ცხენის ხორცის ნარევი.

ყაზახეთში განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მიიღო მკვიდრი ერის წარმომადგენელთა დისკრიმინაციამ ხელმძღვანელი პოსტების დაკავებისა და სამეცნიერო სფეროში; ცნობილია, რომ დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნაევამდე რესპუბლიკის ცეკას პირველ მდივნად ერთადერთი ყაზახი მუშაობდა. ისიც მცირე ხნით.

ა. ალიმჟანოვი სვამს რიტორიკულ კითხვას: ერის ესოდენი განსაცდელის ჟამს, რატომ იყო კულტურა ესოდენ დამჯერე, თვინიერი და ლაქუცა? ერთის შეხედვით პასუხი სრულიად თვალსაჩინოა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით მაინც დავუბრუნდები ამ კითხვას.

კულტურის მოღვაწეთაგან განსხვავებით, ხალხმა, რიგითმა ყაზახებმა არ ისურვეს უსასრულოდ თმენა, უდრტვინველად ცქერა, თუ როგორ ნადგურდება სამშობლო. 1986 წლის შუა დეკემბერში რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივნის პოსტზე რუსის დანიშვნას მოჰყვა ახალგაზრდობის დემონსტრაციები, მანიფესტაციები, მიტინგები, შეტაკებები მილიციასთან. საბჭოთა კავშირის შვიდათეულწლოვან ისტორიაში ყაზახები იყვნენ მეორე ერი, რომელმაც გაბედა საჯარო აქციების საშუალებით გამოეხატა თავისი ეროვნული პროტესტი. მანამდე მხოლოდ ქართველებმა გამართეს საპროტესტო აქციები 1956 წლის 9 მარტს, 1977 წლის 23 ივლისსა და 1978 წლის 14 აპრილს, აქ უნდა შევნიშნო, რომ აფხაზთა საპროტესტო აქციები, ცხადია, ანგარიშში ჩასათვლელი არ არის, რადგან ისინი მიმართული იყო არა იმპერიის წინააღმდეგ, არამედ აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის სადისკრიმინაციოდ. ხელისუფლება აშკარად მხარს უჭერდა ამ აქციებს და გასაგებია, რომ მათ არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა რეპრესიები.

ყაზახებს კი ძვირად დაუჯდათ დეკემბრის გამოსვლები: მილიციასთან შეტაკებებში დაიხოცა მრავალი სტუდენტი — ყაზახი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები. ბევრი შეიპყრეს და ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. რამდენიმე დახვრიტეს. მათ შორის ერთს, 18 წლის კაირატ რისკულბეკოვს საერთაშორისო საზოგადოებრიობის სოლიდარობამაც კი ვერ აარიდა სასიკვდილო განაჩენი... დიახ, ასეა, ათწლეულების მანძილზე მხოლოდ ერთ ერს ჰქონდა თავისი „სამართლიანი ეროვნული მოთხოვნების" საჯაროდ გამოთქმის უფლება.

დეკემბრის ამბების სისხლში ჩახრჩობის შემდეგ დაიწყო ტერორი არამხოლოდ აქციათა უშუალო მონაწილეების, არამედ პატრიოტულად განწყობილი ყაზახი ინტელიგენციისა და მთელი ყაზახური კულტურის წინააღმდეგ.

ამ ტერორის მასშტაბებზე მსჯელობა მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციის (მითუმეტეს მაშინდელის) მოშველიებით, ცხადია, მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნება. მაგრამ ოფიციალური ინფორმაციაც გვაძლევს იმის წარმოდგენის საშუალებას, რა საშინელი წნეხის ქვეშ მოექცა 1986 წლის დეკემბრის შემდეგ ყაზახი ერი, მისი საუკეთესო ნაწილი.

1987 წლის ივლისში საკავშირო ცეკამ მიიღო დადგენილება „ყაზახეთის რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მუშაობის თაობაზე მშრომელთა ინტერნაციონალისტურად და პატრიოტულად აღსაზრდელად".

შეუძლებელია ცივმა ოფლმა არ დაგასხას, როცა კითხულობ ამ მუქარითა და ყოვლად უსირცხვილო ცინიზმით გაჟღენთილ დოკუმენტს. იგი აცხადებს, რომ დეკემბრის ამბების მიზეზია ყაზახთა მეტისმეტად მომრავლება მაღალ თანამდებობებსა და სამეცნიერო სფეროში, რომ თითქმის მთელი ერი თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, რომ თურმე მეტისმეტად ბევრ ყაზახს მოუნდომებია უმაღლესი განათლების მიღება, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, ყაზახური ლიტერატურა და კულტურა (რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, კოსმოპოლიტური, რუსოფილური და მანქურთული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი) „ახდენს ყაზახი ხალხის წარსულის იდეალიზაციას"... გამოსავლად დადგენილების ავტორებს ესახებათ „განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა მუშათა კლასის ეროვნული კადრებით დაკომპლექტების შემდგომი გაფართოებისადმი".

საკავშირო ცეკას დადგენილებას, რასაკვირველია, მოჰყვა ორგლონისძიებები. ყაზახეთის ცეკას პირველმა მდივანმა გენადი კოლბინმა „პრავდისათვის" (24.IV.1988) მიცემულ ინტერვიუში სიტყვა-სიტყვით გაიმეორა „უფროს ამხანაგთა" დებულებები, მანაც ძირითადად „საკადრო დეფორმაციებს" დააბრალა დეკემბრის ამბები და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა ერთგულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას: „მხოლოდ შარშან, — თქვა გ. კოლბინმა, — მოვხსენით შინაგან საქმეთა სამინისტროს 1200 თანამშრომელი (ცხადია, ყაზახები) За нравственную нечистоплотность. ამავე მოტივით განთავისუფლებულნი არიან 12 უმაღლესი სასწავლებლის რექტორები".

მეტროპოლს ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი: იმპერიის ერთგულებს ჩიჩიით — თბილი ადგილებით უმასპინძლდება, ურჩებს ანუ პატრიოტებს —სდევნის. აფხაზთა და ოსთა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის" ნამდვილი არსი იქედანაც ჩანს, რომ საბჭოთა ერებს შორის პროცენტულად არცერთს არ აქვს ბოძებული იმდენი თბილი ადგილი, რამდენიც აფხაზებსა და სამხრელ ოსებს. რაც შეეხებათ ყაზახი ერის პატრიოტ შვილებს, მათს ავბედობაზე შედარებით დაწვრილებით მკითხველს მოუთხრო ყაზახეთის ცეკას მდივანმა ს. კუბაშევმა („იზვესტია", 12.03.1987). ამ პუბლიკაციით მკითხველი იგებს, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ყოფილი რექტორი წარმატებით მუშაობს ქარხნის მუშად...

ეხლა სულ ორიოდე სიტყვა ყაზახურ კულტურაზეც ვთქვათ, იმ ერის კულტურაზე, რომელიც გაანახევრეს, თავის სამშობლოში უმცირესობად აქციეს, მიწაწყალი საუკუნოდ მოუწამლეს, წმინდა ადგილები შეულანძღეს, წინაპართა საფლავები გადაუხნეს, ენა წაართვეს, ხელმძღვანელი თანამდებობებისა და სამეცნიერო სფეროსაკენ გზას უკეტავენ, ფიზიკურ სამუშაოებზე ერეკებიან... აი, ამ ერის კულტურისათვის, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, უცხოა თუნდაც ოდნავი პროტესტის გამოთქმა. ყაზახების, აგრეთვე შუა აზიის რესპუბლიკათა (და მრავალ სხვა ერთა) კულტურა იმდენადაა გაჟღენთილი „ულრმესი მადლიერების გრძნობით", რუსოფილური განწყობილებებით, საკუთარი სამშობლოს „უმცროს ძმად" გამოცხადებისაკენ სწრაფვით, რომ პატიოსანი რუსებიც კი ვერ ფარავენ აღშფოთებას. ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის" (1989, № 9) ფურცლებზე გამოქვეყნდა ა. იზიუმსკის სტატია „სამამულო ისტორია ლიტერატურის სარკეში". ავტორმა მწვავედ გააკრიტიკა მრავალი ყაზახი და შუა აზიელი მწერალი, რომელთა ნაწარმოებებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ „მათი წინაპრებისა და რუსების ურთიერთდამოკიდებულების ისტორიაში არაფერი ყოფილა, გარდა ხვევნა-კოცნისა" (გვ. 72). „უნდა ვაღიაროთ, რომ უძრაობის პერიოდის ისტორიკოსთა (იგულისხმება რუს ისტორიკოსთა. — თ. მ.) ნაშრომებშიც კი გაცილებით უფრო მართლადაა ასახული რუსეთის პოლიტიკა, ვიდრე შუა აზიელ მწერალთა ნაწარმოებებში" (გვ. 76). „ამ მწერლებს თუ დავუჯერებთ, რუსეთის იმპერია ყოფილა არა „ხალხების საპყრობილე", არამედ „ხალხების სკოლა" (გვ. 84).

მრავალი საბჭოური ერის ტრაგედიის ერთი უმთავრესი მიზეზია ადგილობრივი მანქურთი ჩინოვნიკებისა და ფსევდოინტელიგენტების უპრინციპობა, გამყიდველობა, სულიერი პროსტიტუცია. მათი ხელშეწყობის გარეშე კრემლი ვერ შესძლებდა მთელი ერების ესოდენ სავალალო დღეში ჩაგდებას. განა აფხაზთა და ოსთა ყველა უბედურება — ღუდაევის მივიწყება, მთელი ერის ტოტალური გამანქურთება, ხალხში თავისუფლებისაკენ ლტოლვის ჩაკვდომა — მათი მოღალატე, რუსიფიცირებული ფსევდოინტელიგენციის ბრალი არ არის!

# ქსც – „იბერია"

**მოკლე ცნობები:**

**1989 წლის შემოდგომაზე წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრის ნიკოლოზ გაბრიჩიძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართული საინფორმაციო ცენტრი — ქსც. 1990 წლის აპრილში ის გაერთიანდა საინფორმაციო ცენტრ „იბერიასთან" და დღეს ქსც — „იბერიას" სახელით მოქმედებს.**

**ცენტრში გაერთიანებული არიან სხვადასხვა არაფორმალური გაერთიანებების ყოფილი წევრები. მისი მიზანია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელება საქართველოს ფარგლებს გარეთ (საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ). ქსც — „იბერია" აწარმოებს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას. მასში გაერთიანებულია ცხრა წევრი. ვ. გაგლოშვილი (ცენტრის ხელმძღვანელი), ნ. გაბრიჩიძე, ზ. მაისურაძე, მ. მაისურაძე, ი. მოსეშვილი, გ. შენგელაია, ლ. გაგლოშვილი, ე. ბზეკალავა, მ. ხუციშვილი.**

**დღეს ქსც — „იბერია" გთავაზობთ „დს (დემოკრატიჩესკი სოიუზ) — ინფორმის" სააგენტოს მასალებს.**

**სანკტ-პეტერბურგი:** დემოკრატიული კავშირის სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაცია, რუსეთის თავისუფალი დემოკრატიული პარტია, თავისუფლებისა და სოლიდარობის რესპუბლიკური პარტია, რუსეთის დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებელი პროფკავშირები „სპრავედლივოსტ" და „ოსვობოჟდენიე" შევიდნენ გაერთიანებულ საორგანიზაციო კომიტეტში, რომელიც 1990 წლის 7 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში ჩასატარებელ სამგლოვიარო ღონისძიებებს ამზადებს. საორგანიზაციო კომიტეტის პირველ სხდომაზე, 16 ოქტომბერს, შემდეგი მიმართვა მიიღეს: „7 ნოემბერი ეროვნული ტრაგედიის დღეა. 1917 წლის 25 ოქტომბერი ყველაზე ტრაგიკული დღეა XX საუკუნის ისტორიაში. ამ დღეს ბოლშევიკების დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ შეიარაღებული გადატრიალება მოახდინა და ამით შეწყვიტა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება თებერვლის რევოლუციიდან დამფუძნებელ კრებამდე. ამ დღიდან დაიწყო ტოტალიტარული წყობის ჩამოყალიბება და საკუთარი ხალხისა და მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი გზა.

ამ გზას შედეგად მოჰყვა: მარტო საბჭოთა იმპერიაში მისი 100 მილიონი ქვეშევრდომის განადგურება, სრული ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული კატასტროფა.

მოგიწოდებთ, 1990 წლის 7 ნოემბერს გამოვიდეთ ჩვენი ქალაქის ქუჩებში და მთელი 72 წლის მანძილზე პირველად გამოვხატოთ ჩვენი ჭეშმარიტი დამოკიდებულება ამ თარიღისადმი".

ყველას, ვინც ამ დღეს ეროვნული ტრაგედიის დღედ თვლის, საორგანიზაციო კომიტეტი მოუწოდებს, მონაწილეობა მიიღონ მანიფესტაციასა და სამგლოვიარო მიტინგში. საორგანიზაციო კომიტეტი მიესალმება ყველა ლოზუნგს გარდა ისეთებისა, რომლებიც ძალადობისაკენ მოუწოდებენ. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ, გლოვისა და სოლიდარობის ნიშნად, 1990 წლის 7 ნოემბერს, 21 საათსა და 45 წუთზე, მოქალაქეთა სახლების ფანჯრებში აანთონ სანთლები.

●

**მოსკოვი:** სრულიად შემთხვევით დადგინდა, რომ სუკ-ი ისმენს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სატელეფონო საუბრებს. ასე მაგალითად, 24 ოქტომბერს დაახლოებით 17 საათზე „დს-ინფორმის" მორიგე ანდრეი კოტენკო მაგნიტოფონზე იწერდა პრეს-რელიზისათვის გადასაცემ ინფორმაციას. კორესპონდენტმა ყურმილი დადო თუ არა, წყვეტილი ზარის შემდეგ მან გაიგონა უცნობი ადამიანების საუბარი, რომელიც ასევე ჩაიწერეს მაგნიტოფონზე. ვინმე „პირველი" ატყობინებდა ვინმე ჟენიას, რომ ფირი გამითავდა და დანარჩენი საუბრის ჩაწერა შენზეაო. ამრიგად ცნობილი გახდა, რომ დემოკრატიული კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის შტაბში სატელეფონო საუბრების მოსმენა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა და ამასთან კარგად ორგანიზებულიც. აღმოჩნდა, რომ საუბარს ერთდროულად სუკ-ის ორი თანამშრომელი იწერს ოთხი მაგნიტოფონის გამოყენებით. იმედია, რომ სუკ-ის თანამშრომლებს, „პირველსა" და ჟენიას, უფროსები ძალიან მკაცრად არ დასჯიან, სუკ-ის ხელმძღვანელები კი მეტ სიფხიზლეს გამოიჩენენ დემოკრატიისა და პიროვნების უფლების დასაცავად. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ „დს-ინფორმს", სადაც მას სუკ-ის ორი თანამშრომლის საუბრის ჩანაწერს მოასმენინებენ.

**ინფორმაციები მოამზადა**
**კახა გაგლოშვილმა**

# საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბიროს განცხადება

29 ოქტომბერს, გვიან ღამით, მაჩაბლის ქ. № 11-ში მდებარე შენობის ერთ ნაწილში, სადაც განლაგებულია „საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაცია" და მთელი რიგი ახალგაზრდული გაერთიანებები, მათ შორის, ახალგაზრდობის ფონდი „მამული", ახალგაზრდული ტურისტული ბიურო „თანამგზავრი", „ახალგაზრდობის შრომითი საქმეების ცენტრი", „საქართველოს ბავშვთა გაერთიანების ფედერაცია" და სხვ. უცნობ პირთა ჯგუფმა მოაწყო შენობის სრული დარბევა. გაიტაცეს ნივთიერი ფასეულობანი, იყო ცეცხლის წაკიდების მცდელობა, მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი.

დედაქალაქში პოლიტიკური და ოპერატიული სიტუაციის პროვოკაციულად გამწვავება (უკვე მერამდენედ), მავანთა მხრიდან ისიც ახლა, როცა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა უზენაესი საბჭოს არჩევნები და დემოკრატიული პარლამენტის არჩევის დასკვნითი ეტაპი დგას, უნდა შეფასდეს ეროვნულ ღალატად.

მომხდარ ფაქტს გადაჭრით ვგმობთ და მოვუწოდებთ ყველას, ვისაც საქართველოს ბედ-იღბალი ედარდება, მაქსიმალური მობილიზებით წინ აღუდგეს მსგავს მოვლენებს.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის პრესცენტრი.**

**აღნიშნული ვანდალური შემთხვევის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.**

# კიდევ ერთი გაზეთი

დაიბადა ახალი გაზეთი „საქმე" — თავისუფალი ახალგაზრდული გაზეთი.

კვირა არ გავა, ახალი გაზეთის დაბადების მოწმე არ გავხდეთ.

იქნებ გაალიზიანოს კიდეც ვინმე მათმა სიმრავლემ. მით უმეტეს, როცა უმრავლესობა სხვადასხვა სახის დეფიციტის გამო საკმაოდ ძვირი ღირს. ამას გრძნობენ ის ახალგაზრდებიც, რომელთაც „საქმე" დააფუძნეს.

„რა ამბავიაო", იტყვის მავანი, „როგორ ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით გამრავლდნენო", შენიშნავს სხვა.

შეიცადეთ! მოუსმინეთ! თითოეულ მათგანს აქვს სათქმელი. „საქმე" მკითხველთა გაზეთია, თქვენ ხშირად დაგეთმობათ მისი ფურცლები. „ხოლო იმ დღიდან, როდესაც მკითხველი ზურგს შეგვაქცევს, ჩვენი გაზეთი აღარ იარსებებს". ნათქვამია გაზეთის რედაქციის მიმართვაში მკითხველებისადმი.

გაზეთის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდებს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში, თავისი წვლილი შეიტანოს დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებაში.

„საქმე" საქმიანი ადამიანების გაზეთია. ვისაც გაინტერესებთ:

— ეკონომიკური ცხოვრების მაჯისცემა, ბაზრის კონიუნქტურა;

— პოლიტიკა;

— ადამიანის უფლებები;

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია სტატიები და მასალები: „საბჭოთა მანეთი თუ ქართული თეთრი" — სადაც ეროვნული ვალუტის დაუყოვნებლივ შემოღების აუცილებლობაზეა ლაპარაკი, პრივატიზაცია — ვის როდის და როგორ გადაეცემა ქარხნები, ფაბრიკები, მაღაზიები, რესტორნები, სასტუმროები. ჩაწერა — მონობის საბჭოური ინსტიტუტის გადმონაშთია. მიდიან თუ არა კომუნისტები — მიმდინარე მომენტის პოლიტოლოგიური ანალიზი და პროგნოზი. რუბრიკა „პლუს—მინუს" იოსებ სტალინის შესახებ მის თანამედროვეთა შეხედულებებს გვაცნობს, სოლჟენიცინი, ველიკორუსი, მონარქისტი და დემოკრატი. რუბრიკა „ქრონოსი" საქართველოს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკური მომენტის შესახებ გვაწვდის ცნობებს. გარდა ამისა, ნომერში გაეცნობით ბოლო წლების ამერიკის ათ ყველაზე პოპულარულ პიროვნებას და სხვა მასალებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

●

1990/91 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელ კურსებზე. მსმენელებად ჩაირიცხებიან მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მუშაკები, რომლებსაც სურთ მიიღონ უმაღლესი ზოოტექნიკური (ზოოინჟინრის სპეციალობით) და სავეტერინარო (ვეტერინარი ექიმის სპეციალობით) განათლება.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე.

მეცადინეობა დაიწყება 1990 წლის 1 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1991 წლის 1 ივლისამდე.

განცხადება კურსებზე ჩარიცხვის შესახებ შემოტანილი უნდა იქნეს ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

**1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი).**

**2. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.**

**3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ (შრომის წიგნაკის ამონაწერი).**

**4. სამედიცინო ცნობა.**

**5. 6 ფოტოსურათი.**

**6. კურსებზე შემსვლელები პირადად წარმოადგენენ პასპორტს.**

განცხადების მიღება დაიწყება 1990 წლის 5 ოქტომბრიდან, ყოველდღე დილის 10 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. კურსები იმუშავებს ინსტიტუტის სასწავლო ბაზაზე. საბუთების მიღება გრძელდება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის რექტორატში.

**ინსტიტუტის მისამართია:** თბილისი, კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი; ავტობუსი № 23 და სამარშრუტო ტაქსი № 43 კოლმეურნეობის მოედნიდან.

# ხე ნაყოფით შეიცნობის

**დემოკრატიზაციის** მიმდინარე ფაზაში სულ უფრო ხშირად შეინიშნება საეკლესიო საკითხებში პრესის მეშვეობით ჩარევის მცდელობა ისეთ საერო პირთა მხრივ, რომელთაც (მიუხედავად დიდი საერო ერუდიციისა) არავითარი საერთო არ გააჩნიათ ეკლესიასთან, ანუ არ არიან ეკლესიის წევრნი — არ სცნობენ სულიერ მოძღვარს და „არ საჭიროებენ მათ ლოცვა-კურთხევას"…. თვითკონტროლს მოკლებულნი და საკუთარ თავსა და ცრუ თხზულებებში დაჯერებულნი ისინი ხშირად ერისა და ეკლესიის განსწავლასაც არ თაკილობენ…

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ-ერთ ბოლო მსგავს განაცხადს, რომელიც სრულიად არ ეთანხმება ეკლესიისა და ერის თვითმყოფადობის ინტერესებს… იგი გამოქვეყნდა რუსთაველის საზოგადოების გაზეთ „მამულში" № 18 (შემდგომ კი გაზეთ „კომუნისტშიც") ამავე საზოგადოების საარჩევნო პროგრამის (§ 2) სახით, აი ისიც: „არაფერი ისე არ ცირებს ერს, როგორც ფანატიზმი, სულერთია, იქნება ეს რელიგიური, პარტიული, თუ ეროვნული. ამიტომ, ერთერთ ძირითად ამოცანად რუსთაველის საზოგადოებას მიაჩნია ეროვნული შეწყნარებლობის კანონის შექმნა. ამ კანონის შექმნაში თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ ქართველი ხალხისა და საქართველოს არაქართული მოსახლეობის წარმომადგენლები.

რუსთაველის საზოგადოებას მიზანშეწონილად მიაჩნია, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში ეროვნებათა პალატის შექმნაც, სადაც, ქართველი დეპუტატების გვერდით, იმუშავებენ და გადაწყვეტენ ყველა საჭირბოროტო ეროვნულ საკითხს საქართველოს არაქართული მოსახლეობის დეპუტატებიც. საქართველო არამარტო მრავალეროვანი ქვეყანაა, არამედ მრავალრელიგიურიც. პავლე მოციქული გვასწავლის — „აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი" (გალატელთა მიმართ, III, 28), ანუ ყველანი თანასწორნი ხართო. მრავალი საუკუნის მანძილზე ეს სიბრძნე აყალიბებდა ქართველი ხალხის შეგნებას. ბუნებრივია, აუცილებელია რელიგიური შემწყნარებლობის კანონი. ახალმა უზენაესმა საბჭომ, ყველა რელიგიური მიმართულების წარმომადგენლებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ეს კანონი. საქართველო უნდა იყოს ეკუმენიზმის კლასიკური ქვეყანა. „დავითს არავითარი სიძულვილი არ ჰქონდა სომხური წირვა-ლოცვისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას" (ვარდან დიდი). ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რას ნიშნავს ძველი სიბრძნე — „ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც" (მათე, III, 10)".

რა შეიძლება ვუპასუხოთ ერის ამ პროგრამის ავტორთ რელიგიის პოლიტიკისადმი დაქვემდებარებისა და ერის მრწამსის ფანატიზმად გამოცხადებისათვის?…

ჩვენი პასუხი მხოლოდ ერთია— „ჩვენ მხოლოდ არა გვაქვს უფლება განკითხვა იმისა, ვინც პირად ცდომაში ვარდება, თორემ ქრისტეს სახარების აშკარად შეურაცხმყოფელთა კრებათა მიმართ გვაქვს წინააღმდეგობა წამებად და სამართლად აღსარებისა" (მღვდელმონაზონი ალექსი).

შესაბამება თუ არა სინამდვილეს ზემოთხსენებული პროგრამის „არგუმენტები" და რას გვთავაზობს იგი?…

თუ დავუჯერებთ თვით წმ. მეფე დავით აღმაშენებელს (და არა „დავითს"), მის მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერასა და ჩვენს დიდ წინაპრებს (და არა „ვარდან დიდს") ერის მრწამსზე უფრო სწორი წარმოდგენა შეგვექმნება. „დალაცათუ ესრეთ განვხრწენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღიხუენ ხელნი, არცა დავდევ სასოებაი ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოისა, არცა უცხოთესლი რაიმე სარწმუნოებანი საწურთელვყავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღმრთის მეტყველთა შენთა" (გალობანი სინანულისანი). ხოლო რუის-ურბნისის კრება გვასწავლის: „რომელნიცა ღმრთის მავნებლობითისა მის წვალებისა ხაჩეცართაისა, რომელ არიან სომხნი, მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუხდებოდი და წმიდისა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ და ბილწსა მას წვალებასა ერთბუნებიანთა და ერთისა ნებითა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა და არცა სადვთოისა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაიმე და უცხოისა ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ზედა სიჩქურით მეტყუელთასა შეაჩუენებდნენ, ესრეთ განვაწესებთ მათთვის, რაითა სრულიად ნათელ-სცემდნენ ვითარცა წარმართსა, ვინაითგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოვებთ მოქმედად ამისა, ვითარ-იგი არს საპატრიარქოი საყდარი ანტიოქიისაი და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავლისანი. კუალად განვაწესებთ რაითა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ, ვინაითგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი არს ღმრთისაი დამკვიდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუენს შორის, ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოვლად არამადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისაი. ხოლო ვითარმე არცა ერთი ზიარებაი, არც ტაძრისა ღვთისაი კერპთა თანა, ვითარ — იგი ბნელისა ნათლისა თანა, მოწამე არს სალმრთოი მოციქული, ხოლო რომელმან ამიერითგან იკადროს ქმნაი ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქმულითა მით კანონითა".

წმ. გიორგი მთაწმინდელი ბრძანებს: „ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებული ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავნი ჩუენნი, და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა მართლმადიდებლობისასა და მცნებათ და ქადაგებათა ზედა წმიდათა მოციქულთასა მტკიცე ვართ".

იქნებ წმ. გრიგოლ ხანძთელი ბრძანდებოდა ფანატიკოსი ან საეკლესიო ლიბერალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული?… „ხოლო მე ამას ვიტყვი, ვითარცა ყოველთა უწყით, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა შვილთა მწვალებელი მღდელი ვერ მოჰნათლავს, დალაცათუ უნათლავი მოკვდებოდის, რამეთუ ნათელი არა არს მათთანა, და უნათლავისა სიკუდილი უმჯობეს არს, ვიდრე უსჯულოებანი სჯულისა გარდასვლითა… წვალებაი მათი თვის-თვისად, იხილვების, არამედ ურთიერთას განთხზულ არს საცდურებით, რომელთაი კუდი კუდსა შეუკრცუა და ლამპრები ყოველთა კუდებსა გამოაბა, რამეთუ სახე იყვნეს იგინი ყოველთა მწვალებელთა… და იტყვიან სიცრუესა, რამეთუ მარადის ნაცილსა ქადაგებენ და ცილსა სწამებენ შეჩუენებულნი იგი წმიდათა მამათა ჩუენთა მოძღუართა".

რაც შეეხება პავლე მოციქულის სიტყვებს „აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი", პროგრამის შემდგენლები ეპისტოლეს მომდევნო და წინამდებარე მუხლების გარეშე იმოწმებენ და ამის საფუძველზე უმოწყალოდ ამახინჯებენ სახარებისეულ ჭეშმარიტებას… ეპისტოლეში ნათლად სწერია: „რადგან ყველანი, ქრისტე იესოს რწმენით, ძენი ხართ ღმრთისა. ყველამ ვინც ქრისტეს მიმართ ნათელ იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ (ანუ ვინც მოინათლეთ) აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი… ერთი ხართ ქრისტე იესოში" (გალატ. III, 26-28).

ხოლო მცნებაში „ნუ აღუდგებით წინ ბოროტს არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირეთ მას მეორეც" (მათე, V, 39) ყოველი ქრისტიანისათვის ცნობილია ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ აქ პირადი მტერი და შეურაცხმყოფელი იგულისხმება და არა მოყვასის, ერისა და ეკლესიისა, როგორც მას ეკუმენიზმის კოსმოპოლიტიზმისა და ახალი ინტერნაციონალიზმის თეორეტიკოსები მიიჩნევენ… „რაც მამათქვენთან გიხილავთ, იმას აკეთებთ… თქვენ მამათქვენის — ეშმაკისგან ხართ, და მამათქვენის სურვილთა აღსრულება გსურთ. დასაბამითგან კაცის მკვლელი იყო იგი, და ჭეშმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ჭეშმარიტება არ არის მასში. და როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა" (იოანე, 8,38-44).

პირადად თქვენ თუ ძალგიძთ, ნუ აღუდგებით წინ ბოროტს და ვინც შემოგკრავთ მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირეთ მას მეორეც, მაგრამ ერთი გვიბრძანეთ, რა ჰქნან იმ ქართველებმა, რომლებიც იმდენად არიან შეზღუდულნი თავის მამულში — მესხეთში, აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში, რომ აღარ დაედგომებათ იქ?

როგორც „ქართლის ცხოვრება" გვიმოწმებს, მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში მართლმადიდებელმა ეკლესიამ გადაგვარჩინა, როგორც ერი…

რაც შეეხება არქიერესის — ეკუმენიზმისა და პროტესტანტიზმის მებაირაღტრე — ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც (მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საცხოვრებლად ჩასულ ხალთა შორის) ეროვნული პრობლემა არ არსებობს, ამ მხრივ მისაბაძად არ მიგვაჩნია.. ჩვენ არა ეკუმენურ, არამედ მართლმადიდებლურ რწმენაში მოქცევას ვსაჭიროებთ და აქ ეკლესიას უნდა დავუთმოთ გზა…

წლების მანძილზე ჩვენ მოკლებული ვიყავით სწორ ინფორმაციას. ეკუმენიზმი, რომელიც ამჟამად აღმავლობას განიცდის, როგორც დასავლეთში, ასევე საბჭოეთში, დიდი ხანია მხილებულია, როგორც უკანასკნელი ჟამის ცრუ მოძღვრება, რომელიც გზას უმზადებს ანტიქრისტეს… წინასწარმეტყველთა სიტყვებს, სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ ვიხსენებთ, როცა უბედურებას დავატრიალებთ — ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება ხოლმე. განსაცდელს ავცდებით, თუ დროზე შევისმენთ, რას გვასწავლიან დღეს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული მართლმადიდებელი მოძღვრები: ეკუმენიზმის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგის შესახებ, რაც თავისთავად ცხადყოფს ყოველივეს..

საზღვარგარეთ გახიზნული ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერი გიორგი გრაბე მოხსენებაში „თანამედროვე ეკუმენისტური განმაახლებლობა და ჩვენი დამოკიდებულება მის მიმართ" გვამცნობს: — დღეს არ შეიძლება არ აღინიშნოს გარკვეული სულიერი ნათესაობა კათოლიკური სამღვდელოების მოდერნისტულ მოძრაობასა და ჩვენს ამგვარივე დაჯგუფებების საერო პირთა შორის. მათში ძლიერ მცირეა ეკლესიურობა. ისინი რევოლუციური გზებით მოუწოდებენ გარდამქმნელ ბრძოლისკენ და ებრძვიან საეკლესიო იერარქიას პირად უფლებათა გაფართოებისათვის. ეკლესიისთვის უცხოა ამგვარი განწყობა. ეს არის ამსოფლიური მოვლენა, რომელსაც არ გააჩნია დასაყრდენი არც წმიდა წერილში და არც წმინდა კანონებში 1917-1918 წლების რუსული რევოლუციური განწყობილებისა და შემდეგდროინდელი განმაახლებლური მოძრაობის გამოცდილებით, ჩვენ ვიცით, თუ რა შორს შეიძლება წავიდეს ამგვარი პროცესები.

მოდერნიზმი და ეკუმენიზმი ღვიძლი ძმები არიან. ერთს არ შეუძლია მეორის გარეშე არსებობა. ამიტომ ეკლესიათა გაერთიანების მოწოდებასთან ერთად, გაისმის ცხოვრების განახლების მოწოდებაც, მაგრამ არა ჭეშმარიტი სულიერი აღორძინების მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ ახალი ფორმების შემოღებით.

დოგმატურად ეკუმენიზმი ეძებს ჭეშმარიტებისა და სიცრუის გათანაბრებას, ესე იგი, ერთიანობას ყველასათვის მისაღებ მინიმალურ პირობებზე. იგი გამორიცხავს აღმსარებლობის ღვაწლს. მოდერნიზმი ცდილობს წაშალოს ზღვარი ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ეკლესიას შორის. ამიტომ ის ყოველგვარი ეკლესიური ტრადიციების, გადმოცემებისა და განწესების მტერია.

ჯერ კიდევ 1884 წელს პაპი ლევ XIII თავის ენციკლიკაში აფრთხილებდა რომის კათოლიკურ ეკლესიას „მთელი ძალით კარს მომდგარი მასონობის შესახებ".

1967 წ. მახოპეკში (აშშ) მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საზღვარგარეთ გახიზნული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი არქიეპისკოპოსი — ვიტალი. მან ბრძანა: — ეკუმენიზმს ყოველნაირად შეეწევა, შთააგონებს და აფინანსებს მთელ მსოფლიოში ძირმომაგრებული მასონური მოძრაობა, რომელიც ცდილობს გახდეს მსოფლიოს ფარული მმართველი. 1946 წ. მასონურ ჟურნალ „ლე ტემპლში" (№ 3), მასონებმა პირდაპირ აღიარეს, თუ რა გადამწყვეტი როლი მიუძღვით ეკუმენისტური მოძრაობის წარმატებისა და აღორძინების საქმეში. აი, რას სწერენ ისინი: „ჩვენ გვეკითხებიან, რატომ ვერევით რელიგიური ხასიათის კამათში და რამდენადაა მიზანშეწონილი ჩვენი დაინტერესება მსოფლიო ეკლესიათა ერთიანობის პრობლემით, ეკუმენისტური კონგრესებითა და ა. შ. მოგახსენებთ, რომც არ ჰქონოდა მასონობას რელიგიური ძირები, თუნდაც ფაქტი რელიგიის არსებობისა მაინც გამოიწვევდა ჩვენში მუდმივ მცდელობას გვებრძოლა ყოველი ადამიანის საყოველთაო ერთობისათვის, საყოველთაო გაერთიანებისათვის, რადგან ეს, ოდითგანვე ჩვენი ოცნების საგანს წარმოადგენდა. ქრისტეს ეკლესიათა გაერთიანების პრობლემა ჩვენს ინტერესთა სფეროში შედის, და ენათესავება მასონობას იმდენად, რამდენადაც უნივერსალიზმის იდეას შეიცავს. დავუმატებდით იმასაც, რომ თუკი ეს ერთობა ჭეშმარიტ გზას ადგას, ამით ის ჩვენი ორდენისაგან არის დავალებული"…

ეკუმენისტთა მეორე კონფერენციაზე ევანსტონში, კონფერენციის სულისჩამდგმელებმა დახვეწილ პოლიტიკურ ხერხს მიმართეს. მათ პირველად გააკრიტიკეს კომუნიზმი ქრისტიანული თვალსაზრისიდან გამომდინარე. მანევრმა სასურველი შედეგი გამოიღო. კომუნისტებმა აიძულეს მოსკოვის საპატრიარქო, მონაწილეობა მიეღო მომდევნო კონფერენციაზე. კომუნიზმს თუ ვერ დაიცავდნენ, იერარქებს, ის მაინც უნდა მოეხერხებინათ რომ კონფერენციაზე სიტყვა არ დაძრულიყო ქრისტიანთა დევნის შესახებ (კომუნისტების მიერ).

1948 წ. მოსკოვის საპატრიარქომ კატეგორიული უარი განაცხადა პირველ ეკუმენისტურ კონფერენციაში მონაწილეობაზე. მან დაგმო კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლები ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მესამე კონფერენციაზე კი (1961 წ. ნიუ-დელიში) თავად მიიღო მონაწილეობა და ამით ნათელყო კომუნისტური პარტიისადმი მისი მონური მორჩილების ფაქტი. მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთად ეკუმენისტური მოძრაობის სწორუფლებიან წევრებად მიიღეს რუმინეთის, ბულგარეთის და პოლონეთის ეკლესიები… **ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში არ შესულა მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი საზღვარგარეთული ეკლესია, რომელიც არ სცნობს მოსკოვის საპატრიარქოს, კომუნისტური ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო…**

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წარმოდგენილია მთელი კომუნისტური ბლოკი, მოსკოვის საპატრიარქოს მეთაურობით. ნიუ-დელის კონფერენციაზე, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, შეიქმნა ყოველნაირი ერესისა და სიცრუის ერთიანი საერთო ფრონტი. აქ შეკავშირდა და გაერთიანდა ყოველგვარი ღვთის მგმობელობა და ბილწება მოყოლებული კაენიდან და ქამიდან ვიდრე გამცემლამდე, კარლ მარქსამდე, ჩვენი დროის ყველა დიდი თუ მცირე მასშტაბის ღვთის მგმობელამდე.

ეკუმენიზმი გახლავთ ერესთა ერესი, რადგან ეკლესიის ისტორიაში ყოველი ცალკეული ერესი ჭეშმარიტი ეკლესიის ადგილას ცდილობდა დამდგარიყო. ეკუმენისტური მოძრაობა კი, აერთიანებს რა ყველა ღვთისმგმობელ ერესს, მოუწოდებს ჭეშმარიტ ერთიან ეკლესიად ჩათვალოს თავი. აქ გაერთიანდა და სახელი იცვალა ძველმა არიანობამ, მონოფიზიტობამ, მონოფელიტობამ, ხატმებრძოლეობამ, პელაგიანობამ, სხვა მსგავსმა სიბილწემ და მთელი სიმძლავრით მიიტანა იერიში წმ. ეკლესიაზე. ეს მოვლენა უსათუოდ აპოკალიფსური ხასიათისა გახლავთ. სატანა რიგრიგობით ებრძოდა ქრისტეს ჭეშმარიტ რწმენას, რომელიც თანმიმდევრობით არის გადმოცემული ნიკეის სიმბოლოში სარწმუნოებისა და ბოლოს მიადგა სიმბოლოს უკანასკნელ და ყველაზე მთავარ ნაწილს — „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია".

საღად მოაზროვნე მართლმადიდებელს აზრადაც არ მოუვა პროტესტანტულ ან კათოლიკურ ეკლესიაში ეზიაროს, რადგან მთელი თავისი არსებით, შინაგანი უტყუარი ცოდნით იცის, რომ არსად არ არის წმიდა ზიარება ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის გარდა. სულ სხვა ვითარებაა ინტელიგენციის ფენაში. აქ ისეთი აზრთა სხვაობაა, ისეთი სიჭრელეა და ცდომათა ისეთი მრავალსახეობა, რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ორი კაციც არ შეგხვდებათ ერთნაირად მოფიქრალი… ყველაზე ტრაგიკული კი ის არის, რომ სრულიად მივიწყებულია წმიდა მამათა გამონათქვამი: „ერეტიკოსთა ზიარება — საზრდოა ეშმათა".

აი რას გვეუბნება ეკუმენიზმის შესახებ თანამედროვეობის უდიდესი ამერიკელი ღვთისმეტყველი სერაფიმ როუზი. 1982 წელს გამოცემულ წიგნში „მართლმადიდებლობა და მომავლის რელიგია", იგი წერს: — „XX საუკუნის მთავარი ერესის — ეკუმენური მოძრაობის ჩასახვა არის არა „ნაყოფი სიკეთისა", არამედ შთაგონებაა ეშმასი, რომელმაც ამ შემთხვევაში ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მხოლოდ მათზე, ვინც იმდენად დაშორდა ქრისტიანობას, რომ ფაქტიურად კერპთაყვანისმცემელი და ამასოფლის მეუფის — სატანის მსახური გახდა (2 კორ. 4,4). სცდება აგრეთვე ის, ვინც მისდევს ნებისმიერ ინტელექტუალურ მოდას, რომლის საშუალებითაც ახდენს ინსპირირებას ეს ძლევამოსილი წინააღმდგომი ღვთისა… ამგვარია სინამდვილეში მასონური იდეოლოგიის საიდუმლო მიზანი, რომელიც ეკუმენური მოძრაობის ინსპირირებას ახდენს. ამგვარია მომავლის რელიგია — ანტიქრისტეს რელიგია".

აქედან გამომდინარე, 1989 წლის 9/22 მაისს, იერუსალიმის საპატრიარქოს წმიდა სინოდის კრებაზე, იერუსალიმის პატრიარქის, მისი უნეტარესობის დიოდოროს I-ის წინადადებით დადგინდა, რომ საპატრიარქო წყვეტს დიალოგს არამართლმადიდებლებთან.

წმიდა სინოდის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა: „იერუსალიმის საპატრიარქოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, რადგან ყოველი ქრისტიანის და, განსაკუთრებით, მართლმადიდებლის მზერა და სული მიპყრობილია წმინდა მიწისკენ, სადაც იშვა ქრისტიანული სარწმუნოება. იერუსალიმის ეკლესია, როგორც ყველა ეკლესიის დედა, მისაბაძი უნდა იყოს რწმენის საკითხებში და უნდა დაიცვას ის წმინდად, იმ სახით, როგორადაც გადმოგვეცა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან. დღეს, კაცობრიობისათვის მეტად მძიმე ჟამს, როდესაც ჩვენ სხვადასხვა მოდერნისტული სწავლების წინაშე ვდგავართ, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ზნეობრივ ფასეულობებსა და მართლმადიდებლურ ტრადიციებს, იერუსალიმის ეკლესიის ვალია აღიმაღლოს ხმა თავის შვილების დასაცავად უცხო გავლენათაგან და განამტკიცოს ისინი მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში.

მართლმადიდებლურ ეკლესიას მტკიცედ სწამს, რომ ის არის ერთიანი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, — წყარო ღვთიური მადლისა და ჭეშმარიტებისა.

ჩვენი პირდაპირი მოვალეობა— დავიცვათ მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და გადმოცემათა სიწმინდე, — გვაიძულებს შევწყვიტოთ სადვთისმეტყველო დიალოგი არა მარტო ანგლიკანელებთან, არამედ კათოლიკებთან, ლუთერანებთან და სხვა პროტესტანტულ აღმსარებლებთან, რომლებთანაც, არცთუ დიდი ხნის წინ, იერუსალიმის ეკლესია [illegible] სადვთისმეტყველო [illegible] ინარჩუნებდა".

იერუსალიმის საპატრიარქოს წმიდა სინოდის წევრთა თანხმობით, პატრიარქმა მართლმადიდებლური ეკლესიების წინამძღვრებს გაუგზავნა მიმართვა, სადაც იტყობინება მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ… (ორთოდოქს ტიპოსი 16.VI.1989).

„მივსდიოთ წმიდა მამათგან დღემდე მოღწეულ აღმსარებლობას, განვეშოროთ ყოველგვარ სიახლეს, როგორც სატანის დაგებულ საცთურს… ხოლო ვინც დაარღვევს ამას, ის განუდგება მართლმადიდებლობას და სული წმიდის გმობის გამო მიეცემა საუკუნო ანათემას. ამრიგად ახლებურად მოაზროვნეებმა — ერეტიკოსები იქნებიან ისინი თუ რასკოლნიკები, საკუთარი ნებით შეიმოსეს წყევა, ვითარცა სამოსელი (ფსალმ. 108,18), თუნდაც იყვნენ ისინი პაპები, თუნდაც პატრიარქები, თუნდაც ეკლესიის მსახურნი, თუნდაც საერონი და თვით ანგელოზიც კი ზეცით… ანათემა მას!". (მსოფლიო პატრიარქი ანთიმოზი VI).

ჩვენ ვქადაგებთ არა ვიწრო სექტანტიზმს, არამედ ერთობას ჭეშმარიტების საფუძველზე, რომელიც შენარჩუნებულია უძველეს ერთიან მართლმადიდებელ ეკლესიაში მოციქულთა დროიდან და უარვყოფთ სიმართლისა და სიცრუის გათანაბრებას, როგორც ამას გვთავაზობს თანამედროვე ეკუმენიზმი.

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) წერდა: „ერთი ფრიად სამწუხარო ყოველთა ქრისტეს მოსავთათვის გარემოება გამოჩნდა და ძლიერდება ყოველთა ქვეყანათა შინა. განმრავლდნენ კაცნი წინააღმდეგნი საღმრთოისა სჯულისანი. პირველი და უმთავრესი ჰაზრი, ანუ საბუთი ყოვლისა ურწმუნოისა და განდრეკილისა [illegible] არის ესრეთი: ოღონდ მე კი კარგი, პატიოსანი და მართალი კაცი ვიყო საქმით და ყოფაქცევით, თორემ რაც გინდა მწამდეს, ეს სულ ერთი არისო".

ხოლო თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი). 1990 წელს გამოცემულ წიგნში „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა" ბრძანებს: „აშკარა ათეიზმთან ერთად, გრძელდება კაცობრიობის სარწმუნოებრივი დაქუცმაცება ათასგვარ სექტებად. მაგრამ სამწუხაროდ საპირისპირო, გამაერთიანებელი მოძრაობაც — ეკუმენიზმი, ამავე ნიშნით მიმდინარეობს. ეკუმენიზმი გვთავაზობს სარწმუნოებრივი განსხვავებები მეორეხარისხოვნად ჩავთვალოთ და უგულებელვყოთ, და სოციალურ-კულტურულ-ეკონომიკური პრობლემების გარშემო გავერთიანდეთ. ეს ჰუმანიზმის სახით შენიღბული ურწმუნოებაა":

მადლობა ღმერთს! ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ საქართველოს ეკლესია დღითიდღე იბრუნებს თავის უფლებებს მართვის ყველა სფეროში. დაე, ჩვენც მივაგოთ კუთვნილი პატივი იმ ეკლესიას (და მის სხეთმპყრობელს), რომელმაც შეგვინარჩუნა ენა, მამული, სარწმუნოება…

„გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ზიჯო რაიმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ-ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირს-ქმნილ ვართ — მოწამე არს ჭეშმარიტებაი" (რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა).

**საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ძმობა ლაზარეს აღდგინებისა" სახელით**

**მერაბ ხულაყველიძე,**

**ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ საქართველოს საპატრიარქოს ფონდში. მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკი, ანგარიში № 000701001**

---

* **სიტყვა — „კათოლიკე" ნიშნავს საყოველთაოს, მსოფლიოს. კათოლიკე ეკლესია არ უნდა აგვერიოს, რომაულ-ლათინურ, ე. წ. „კათოლიკურ" ეკლესიაში.**

# ეროვნული კონგრესი — ბრძოლის ახალი სიმაღლეები

**ქართველი** ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რიცხვით მეოცე საუკუნის მიწურულს, ალბათ, ისევ და ისევ სადიდებლად ღვთისა და ერისა, კიდევ ერთი სასწაული მოხდა — საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული კონგრესი, ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით აღჭურვილი, ქართველი ერის უზენაესი ნებისა და მისწრაფების გამომხატველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, წარმომადგენლობით პრინციპზე დაფუძნებული ორგანო. ეროვნული კონგრესის არჩევით კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა თვისობრივად ახალი ინსტიტუტი, რომელმაც უაღრესად დიდი ძალა შემატა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მსოფლიო ისტორიულ გამოცდილებას. საქართველოს ეროვნული მოძრაობის განვითარებამ შვა იდეა, რომლის ხორცშესხმაც, სამართლებრივი თვალსაზრისით ნებისმიერი დაპყრობილი ერის მშვიდობიან, არაშეიარაღებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის გზას უხსნის რეალურ გამარჯვებამდე და დასახული მიზნის განხორციელებამდე.

კაცობრიობის პროგრესის გზით სვლამ მსოფლიო საზოგადოებრიობა განვითარების დემოკრატიულ სტადიაში შეიყვანა. ამის უთვალსაჩინოესი მაგალითია საერთაშორისო სამართლის მიერ ოფიციალურ დონეზე ისეთი ნორმებისა და პრინციპების უზენაესობის აღიარება, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ხალხის, ერის ნების თავისუფალ და საყოველთაო გამოხატვას ეფუძნებიან. კერძოდ, სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნის უმთავრესი პირობაა— ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, ხელისუფლება, სამართალი და კანონმდებლობა იყოს მოცემული ქვეყნის მოსახლეობის, ერის ნების გამომხატველი. ამიტომაცაა, რომ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები წყდება საყოველთაო სახალხო კენჭისყრით— პლებისციტით, რეფერენდუმითა და დემოკრატიული არჩევნებით, ისეთი აქტებით, რომლებშიც მჟღავნდება ერის ნება და სურვილი. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით არჩევა ჩვეულებრივი მოვლენაა. დემოკრატიულ ქვეყნებში და ამ პროცესს, როგორც წესი, ოფიციალური სახელმწიფო კანონის საფუძველზე ახორციელებს დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბებული თავისუფალი ერი. მაგრამ დაპყრობილ ერს, ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში მცხოვრებს, სახელმწიფოებრიობაწართმეულს, ბუნებრივია, არ შეუძლია აირჩიოს თავისი ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რადგან ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ოფიციალურად მოქმედი კანონმდებლობა, ხელისუფლება და სახელმწიფოებრიობა ეკუთვნის დამპყრობელს, ხოლო ოკუპაციისა და ანექსიის სრულ ლიკვიდაციამდე, არათავისუფალ პირობებში დაპყრობილი ერი თავის ტერიტორიაზე ეროვნულ სახელმწიფოს, ხელისუფლებასა და კანონმდებლობას ვერ განახორციელებს და, აქედან გამომდინარე, ვერ შექმნის. სწორედ ამიტომ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია უდიდეს შეცდომად და სრულ უაზრობად საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის მონაწილეობა იმ ორგანოს არჩევნებში, რომელიც ერთიანი იმპერიული ხელისუფლების სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს იმპერიის მიერ დაპყრობილ ერთ-ერთ ტერიტორიაზე და რომლის არჩევნებიც დაინიშნა თავის დროზე დაპყრობილი ერისათვის იმპერიის მიერ თავსმოხვეული კანონმდებლობის საფუძველზე და რომელ ორგანოსაც არ შესწევს არავითარი უნარი მოცემულ ტერიტორიაზე რეალური სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლად განხორციელებისა.

თუ თავისუფალი ერი თავის ნებასა და მისწრაფებას ეროვნულ სახელმწიფოებრიობაში გამოხატავს, დაპყრობილი ერის ნება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მჟღავნდება. და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავისუფლებისათვის ბრძოლა ემყარება არაშეიარაღებული მშვიდობიანი ბრძოლის სტრატეგიას, საერთაშორისო სამართლისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ამა თუ იმ ქვეყანაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რამდენად ძლიერად მჟღავნდება დაპყრობილი ერის ნება.

თავისუფლებისათვის მშვიდობიანი გზით მებრძოლი ერი თავის ნებას გამოხატავს მასობრივ გამოსვლებში, არსებული მდგომარეობისადმი საპროტესტო მიტინგებში, მანიფესტაციებში, დემონსტრაციებში და გაფიცვებში. და რაც უფრო მასობრივ, საყოველთაო სახალხო ხასიათს ღებულობს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა, მით ძლიერია თავისუფლებისთვის მებრძოლი დაპყრობილი ერის ნების და მისწრაფების გამომჟღავნება.

საბჭოთა აგრესორთაგან ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში 1988 წლიდან კვლავ იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და უკანასკნელი ორწელიწადნახევრის მანძილზე სრულიად საქართველოს მასშტაბით საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით აურაცხელი გამოსვლა, მიტინგი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია და გაფიცვა მოეწყო. თავისი ზნეობრივი, უკომპრომისო და მოწამეობრივი ბრძოლით ქართველმა ერმა ოქროს ასოებით ჩაწერა მატიანეში ნოემბრის შიმშილობის სასწაულებრივი კვირეული და აპრილის გმირული ეპოპეა. ხსოვნა და ისტორია კიდევ ბევრ შესანიშნავ გაბრძოლებას აფიქსირებს ამ ხანმოკლე წინააღმდეგობებით, მღელვარებებით, მშფოთვარებებითა და სირთულეებით აღსავსე პერიოდში. და თავისუფლებისთვის ბრძოლის მატიანე ქართველმა ერმა შეავსო კაცობრიობის ისტორიაში იმ უპრეცედენტო ფენომენით, რასაც ეროვნული კონგრესი ჰქვია. საქართველოში პირველად მოხდა მოსახლეობის ნდობის მანდატის გადაცემა ეროვნული მოძრაობისთვის. ეროვნული მოძრაობა თავად არის ნების გამოხატვა, მაგრამ ვინაიდან კაცობრიობის დემოკრატიულმა განვითარებამ და საერთაშორისო სამართალმა ერის უზენაესი ნების პირდაპირის გამოხატვის აქტად უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებში საყოველთაო სახალხო კენჭისყრა დაადგინა, ქართველმა ერმა არაოფიციალური სახელმწიფო კანონის საფუძველზე ჩატარებული საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით შექმნა საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით აღჭურვილი, დაპყრობილი ქართველი ერის უზენაესი ნებისა და მისწრაფების გამომხატველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, მაკოორდინირებელი, წარმომადგენლობითი ორგანო. საქართველოს მოსახლეობამ თავისუფალი, საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით ხმა მისცა რა ეროვნულ კონგრესს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლობით ორგანოს, ამით ოფიციალურად გამოხატა თავისი უზენაესი ნება საქართველოს განთავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

საქართველოს ეროვნული კონგრესი განვითარების ახალ სიმაღლეებზე აიყვანს ქართველი ხალხის უკომპრომისო ბრძოლას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. იბრძოლებს, რათა საერთაშორისო სამართალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ოფიციალურ დონეზე დასვას საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი. მოამზადებს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და საკანონმდებლო სისტემის მოწყობის თეორიულ წინამძღვრებს, დაიწყებს მექანიზმებისა და სტრუქტურების შექმნას საყოველთაო-ეროვნული დაუმორჩილებლობის, როგორც უკიდურესი ზომის განხორციელებისთვის. ერთი სიტყვით; მისი ენერგია, ძალისხმევა და პოტენცია მოხმარდება იმ მიზნის ბოლომდე განხორციელებას, რასაც თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო ჰქვია.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესი გაამართლებს მის მიმართ გამოხატულ ნდობას ქართველი ერისას და ღირსეულად აღასრულებს ღვთისგან დაკისრებულ დიდ ისტორიულ მისიას!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და ჩვენი მფარველი.

**ირაკლი წერეთელი,**

**30 ოქტომბერი 1990 წლისა ქრისტეშობიდან.**

საქართველოს ეროვნულ კონგრესში

# საქართველოს ეროვნული კონგრესის მიმართვა ქართველ ერისადმი

[illegible]

…ნი ერისა და ქვეყნისათვის ამ კრიტიკულ პერიოდში მივმართავთ ქართველ ერს საერთო ძალისხმევისაკენ იმ დიდი საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად, რომელსაც დამოუკიდებელი და დემოკ-

[illegible]

…პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ზნეობრივი აღორძინება, თითოეული პიროვნებისა და მოქალაქის სრული თვითრეალიზაცია. საქართველოს ეროვნულ კონგრესს მიაჩნია, [illegible] სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე [illegible] შემდეგი უმთავრესი ნაბიჯის გადადგმა:

1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სრული და უპირობო გაყვანა.
2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და [illegible] შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი.
3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად უნდა იქცეს საყოველთაო სახალხო მოძრაობად, რომელშიც საქართველოს მთელი მოსახლეობა გამოამჟღავნებს ერთსულოვნებასა და უდრეკობას, დაუპირისპირდება არსებულ არაკანონიერ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს. საქართველოს დღევანდელი რეალური მდგომარეობა უნდა აისახოს მისი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში საერთაშორისო სამართლის დონეზე: საქართველო არის აგრესიის შედეგად დაპყრობილი და ანექსირებული ქვეყანა, რომელშიც არსებული რეჟიმი მთლიანად დაფუძნებულია საოკუპაციო ჯარის ძალაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტანციების წინაშე დაუყოვნებლივ უნდა დაისვას საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაციის, დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. ამავე დროს სრულიად საქართველოს მასშტაბით უნდა შეიქმნას იმპერიული ცენტრის მიმართ ოპოზიციური სტრუქტურები, რათა უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისა და ტოტალური მშვიდობიანი წინააღმდეგობის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე, დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

რეალური პოლიტიკური ვითარება, მოვლენათა სწრაფი განვითარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქართველი ერის დიდი სახელმწიფოებრივი, კულტურული და ზნეობრივი ტრადიციები, გვავალდებულებს მაქსიმალურად დავაჩქაროთ განთავისუფლების პროცესი, მაგრამ გავიმსჭვალოთ პასუხისმგებლობის იმ უდიდესი გრძნობითაც, რომელიც გვაკისრია შთამომავლობის წინაშე.

ჩვენი მომავალია — თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული საქართველო!

გავერთიანდეთ ჩვენს წმინდა ბრძოლაში!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

# განცხადება

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია მიესალმება და ულოცავს ქართველ ერს, სრულიად საქართველოს, ეროვნული კონგრესის არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

ხელოვნური წინააღმდეგობების მიუხედავად ეროვნული კონგრესის არჩევნების წარმატებით ჩატარება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტია ქართველი ერის ისტორიაში. ეს არის თავისებური იურიდიული ძალის მქონე რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოქალაქეებმა თავიანთი ნება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ეროვნული კონგრესის არჩევით გამოხატეს და მასვე დააკისრეს ავანგარდის როლი ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველი ერის სანუკვარი ოცნების აღსასრულებლად.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეროვნული კონგრესი გაამართლებს ხალხის ნდობას, არ შეუშინდება შინა და გარე წინააღმდეგობებს, ერთ ძალად შეკრავს ეროვნულ მოძრაობას, მიზანდასახულად წაუძღვება წინ და ქართველ ერს მიიყვანს სრულ გამარჯვებამდე.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია წარმატებას უსურვებს კონგრესს შემდგომ მუშაობაში და აღნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის ვიდექით და ვიდგებით იმ ჯანსაღი ძალების გვერდით, რომლებიც ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით იბრძვიან საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

**28. 10. 90.**

P.S. საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია გმობს და პოლიტიკური ტერორის კვალიფიკაციას ანიჭებს 1990 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის — ბატონი გიორგი ჭანტურიას მიმართ განხორციელებული თავდასხმის აქტს.

ეროვნული კონგრესი ქართველი ერის ნების გამომხატველი ორგანოა, ამდენად მის წინააღმდეგ მიმართული ყველა აქცია ქართველ ერთან დაპირისპირებად უნდა ჩაითვალოს.

**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია.**

# საქართველოს სოციოლოგიურ ასოციაციასთან არსებული სოციალური კვლევის ცენტრის განცხადება

საქართველოში ამჟამად შექმნილი სიტუაცია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში მეტად დაძაბულ და არასახარბიელო ცვლილებებს განიცდის. ადამიანები დაბნეულობის, გაურკვევლობის პირობებში აღმოჩნდნენ; იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, ღრმავდება სიძნელეები ეკონომიკაში, ძვირდება ცხოვრება, იძაბება ადამიანთა შორის ურთიერთობები.

ასეთ ვითარებაში საზოგადოებრივი აზრის ღრმა სოციოლოგიური გამოკითხვით მიღებული შედეგების სწორ გაანალიზებას და მის გათვალისწინებას საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზირებისათვის მეტად საჭირო და აუცილებელი მნიშვნელობა აქვს.

ამასთან დაკავშირებით ნოემბრის პირველ რიცხვებში სოციოლოგთა ჯგუფები რამდენიმე დღის განმავლობაში იმუშავებენ საქართველოს 30-მდე რაიონში. სოციალური კვლევის ცენტრი თხოვნით მიმართავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომ საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ მათ თანადგომა და დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართველ მაშველთა კორპუსი“

აცხადებს კონკურსს რაზმელებისა და მეთაურების ეროვნული ფორმის შესაქმნელად.

კონკურსის მასალები გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ ამა წლის 10 დეკემბრამდე.

საუკეთესო ესკიზის ავტორი პრემირებული იქნება.

ცნობებისათვის მიაკითხეთ — ვერის ბაღი, ალპური კლუბი „ქართველ მაშველთა კორპუსი“. ტელ. 93-17-63.

ქართველ მაშველთა კორპუსის საბჭო

# ახალი წიგნები

**გამომცემლობა** „მერანმა“ გამოსცა გური ოტობაიას (ფეტელავას) რომანი „სიცოცხლემისჯილი“. რომანის საჟურნალო ვარიანტი 1987 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“. მის შესახებ კრიტიკოსი რევაზ თვარაძე წერდა: „როგორც ჩანს, ერთობ დიდი იყო სურვილი—თავისი ნაფიქრი, ნაგრძნობი და გამოტანჯული დაუხანებლად გაეცნო სხვათათვის, აუდიტორიისთვის, დაუხანებლად მოემკო მოსამკელი, დაუხანებლად მოეხვეჭა ის სახელი, რომელსაც უეჭველად მოუტანს ავტორს ეს ნაწარმოები. უეჭველად მოუტანს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ოღონდ საბოლოოდ დახვეწისა და ჩამოქნის შემდეგ... თუკი ავტორი შესძლებს დასძლიოს იაფფასიანი პოპულარობის ცდუნება და ერთხელ კიდევ ჩაუჯდება თავის ქმნილებას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქართველი მკითხველი დიდად მნიშვნელოვან, პირველხარისხოვან რომანს მიიღებს“.

მაინც რას ასახავს „სიცოცხლემისჯილი“?!

რომანი ეხება თანამედროვე წმინდანის ცხოვრებას, მისი სიუჟეტი მძაფრია და საინტერესო.

დასასრულს ვიტყვით იმასაც, რომ წიგნი ავტორის ხარჯით გამოვიდა.

საკუთარი ინფორმაცია




# საჯაროობა მოქმედებს!

ჩვენი მკითხველი ინფორმირებულია მთელ მსოფლიოში სკანდალურად ცნობილი იტალიელი პორნოვარსკვლავის ჩიჩოლინა შტალერის ამ ქვეყნის პარლამენტში ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ. დიახ, პორნოვარსკვლავი თავის ძირითად, მძიმე სამუშაოსთან ერთად შეთავსებით დეპუტატის არანაკლებ მძიმე და პასუხსაგებ ჰაპანსაც პატიოსნად ეწევა.

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თქვეს ჩიჩოლინას მოსკოველმა პორნოკოლეგებმა და ამას წინათ ქალაქის ცენტრში შთამბეჭდავი მანიფესტაციაც გაუმართავთ.

დემონსტრანტები მეძავთა შრომის პირობების გაუმჯობესებასთან, მათთვის დარგობრივი პროფკავშირების შექმნის უფლების მინიჭებასთან ერთად, მოითხოვდნენ უზენაეს საბჭოში მათი წარმომადგენლებისათვის ადგილების გამოყოფას.

ღამისა და დღის მშრომელები ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სკკპ წევრთა მიმართ სექსუალური ბლოკადით იმუქრებიან.

ჭეშმარიტად, გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში მიეწევა. იმდენი გაჭირვებისა და სიძნელეების შემდეგ, ბოლო ხანებში მრავლისმომსწრე და მრავლისმოქმედ სკკპ-ს რომ შეექმნა, სწორედ რომ ამგვარი ბლოკადაღა აკლდა!

ასე რომ, აქტიურმა კომპარტიელებმა, დროა, შეიბერტყონ ყური და თავს უშველონ, თუ არ უნდათ ბლოკადაში მოხვდნენ!..

ფელიქს კოჭიაშვილი

ფოტო გაზეთ „ლიტერატურნაია როსსია“-დან (19. X. 1990 წ.).

# ყურადღება!

ცეკავშირის სავაჭრო მაღაზიებში შეგიძლიათ, შეიძინოთ დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის წიგნი „ძველი აღთქმის საღვთო ისტორია“.

როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, ავტორს მიზნად დაესახავს გასაგები ენით შეედგინა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც გამართული იქნებოდა საერო და სასულიერო სასწავლებლების პროგრამების კვალობაზე.

გამომცემლები იმედოვნებენ, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების საქმეს, რადგან იგი დაწერილია გასაგები ენით და ფართო საზოგადოებრიობისათვის არის გათვლილი.

წიგნის რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება თბილისის სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას.

# მივხედოთ საქართველოს საზღვრებს

**თითქმის** ორი საუკუნეა, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ლაფავს სულს. კომუნისტურმა რეჟიმმა, ფაქტობრივად, „ერთა საპყრობილის“ ტრადიციები გააგრძელა. რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს თვალთმაქცურად ეწოდა მოკავშირე რესპუბლიკები და რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებაში რუსეთის პირსისხლიან იმპერატორებს კიდეც გადააჭარბა.

არაბთა და მონღოლთა მონობაშიც კი გააჩნდა საქართველოს თავისი საზღვრები. დღეს კი „მზიური საქართველოს მოძმე რესპუბლიკას“ საზღვრები არ გააჩნია. უფრო სწორად, სსრკ-ს პოლიტიკურ რუკაზე რუსთველის ქვეყნის საზღვრები ფიქტიური და ნომინალურია.

ეს უფრო დიდი ჭირია, ვიდრე კოლონიის პარლამენტური სტატუსი, რომლის მოპოვებასაც ვერ ველირსეთ კრემლის „მზრუნველებისა“ და მათი მარიონეტების ხელში. სოციალისტური პრინციპი — „ვისაც სადაც გაეხარდება, იქ იცხოვროს“, საქართველოსთვის სულ მალე მოტრიალდება გამოუსწორებელ ეროვნულ უბედურებად. ოთხკუთხივ შემოხეტებულ სტუმართა მიერ ქართული მიწების დატაცება და უცხო ტომის წარმომადგენელთა გამრავლების გეომეტრიული ტემპი იქამდე მიგვიყვანს, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა საქართველოში ძირძველი მოსახლეობა — ქართველები ეროვნულ უმცირესობათა შორის აღმოვჩნდებით.

თუ უტოპიურ ნატვრად რჩება არა მარტო დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს საზღვრები, თუ ცრემლიან მოგონებად და ლამის მიუღწეველ ოცნებად გვესახება დამოუკიდებელი საქართველოს (1918—21) პერიოდის ტერიტორია. (წარმოიდგინეთ, რომ 1918 წელს საქართველო იყო 111000 კვადრატული კილომეტრი, ახლა კი 67000-ია), ის მაინც მოვახერხოთ, რომ ეს სასწაულებრივად შერჩენილი მიწა-წყალი დავიცვათ და შევუნარჩუნოთ ჩვენს შვილებს.

რა საზღვრის დაცვაზეა ლაპარაკი? დაცული გვაქვს საზღვარი მხოლოდ თურქეთთან. სხვა ქვეყნებთან, კი, ათასჯერ ვიმეორებთ, ჩვენი საზღვრები წაშლილი და იავარქმნილია.

„თვისტომი“ მოუწოდებს საქართველოს უზენაეს საბჭოს და ეროვნულ კონგრესს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საქართველოს საზღვრების დასაცავად.

საჭიროა, ყოველი მხრიდან შეიქმნას სასაზღვრო საკონტროლო პუნქტები. ეროვნული ჯარის შექმნამდე, სასაზღვრო სამსახურის შესრულება დაევალოს შინაგან საქმეთა ორგანოებს, მოხალისეთა რაზმებს, ან შესაბამის არასაუწყებო სამსახურებს.

„თვისტომი“ უმორჩილესად სთხოვს განაპირა რაიონებში მცხოვრებთ, გაფაციცებით ადევნონ თვალ-ყური საქართველოს საზღვრების სიწმინდეს და საცხოვრებლად შემოსული უცხოტომელი მოქალაქის, თუ მოქალაქეთა ჯგუფის საქციელს. საზღვრის დარღვევას შეფასება მისცენ.

დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში სწერია: „თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს“...

არა ხამს ამ ანდერძის დავიწყებაც.

საზოგადოება „თვისტომი“

**კრწანისის** რაიონის ახალგაზრდული კავშირი ამა წლის 2 ნოემბერს უსინათლოთა კულტურის სახლში აწყობს საქველმოქმედო კონცერტს. მასში მონაწილეობენ უსინათლოთა საზოგადოების საქალაქო კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივები:

მომღერალთა სახალხო გუნდი
ქორეოგრაფიული ანსამბლი „ნაკადული“
ხალხურ საკრავთა ორკესტრი
მედუდუკეთა ტრიო
ქალთა კვარტეტი
ბავშვთა სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი.

კონცერტიდან მიღებული თანხა მოხმარდება რაიონში მაცხოვრებელ მრავალშვილიან დედებსა და ახალგაზრდა ოჯახებს.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# ფინიშის სწორზე...

ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურიღა დარჩა და გათამაშების ცხრილში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გაურკვეველი... მაგალითად, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს, ალბათ, ბოლო ტური თუ გაარკვევს, იქამდე კი ყოველ მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მედლების მაძიებელი გუნდებისათვის. და არა მარტო მათთვის, არამედ იმ გუნდებისათვისაც, რომლებიც სატურნირო ცხრილის ბოლოში არიან მოქცეულნი და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

... ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა რუსთავში შედგა, სადაც ადგილობრივი „გორდა“ ქუთაისის საფეხბურთო კლუბ „ქუთაისს“ ხვდებოდა. რუსთაველები ამ ბოლო დროს ერთობ არასტაბილურად გამოდიან, რაც, ჩვენი აზრით, ფეხბურთელების ხშირი ტრავმებით და ერთობ „მოკლე“ სათადარიგოთა სკამით შეიძლება ავხსნათ. აი, ქუთაისელთა ახალგაზრდულმა გუნდმა კი ფინიშის სწორზე საკმაოდ მოუმატა თამაშს და ამიტომაც ეს მატჩი გარკვეულ ინტერესს იწვევდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე უამრავი ფეხბურთის გულშემატკივარი მოვიდა საინტერესო მატჩის მოლოდინში. თუმცა, წინდაწინ უნდა ითქვას, რომ გულშემატკივრებიც და ამ სტრიქონების ავტორიც უფრო მეტს მოელოდნენ ამ შეხვედრისაგან, რომელიც მთლიანობაში რუსთაველთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით აღინიშნა. მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ აქტიურობდნენ რუსთაველთა სახიფათო ფორვარდები ვასილ მიქაშავიძე და მამუკა ფანცულაია და ამიტომაც, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ ორივე გატანილი გოლის ავტორები სწორედ ისინი იყვნენ. მიქაშავიძემ, მას შემდეგ, რაც რამოდენიმეჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაინც შესძლო მეტოქეთა საჯარიმოში სწორი პოზიციის შერჩევა და ზუსტი დარტყმით მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა ბურთი. გოლის გატანის შანსი ჰქონდათ აგრეთვე ფანცულაიას და წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენას გია კილასონიას, მაგრამ ქუთაისელთა მეკარემ ნიკა ჩხეიძემ ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. ქუთაისელთა რიგებში პირველ ტაიმშიც და მთელი შეხვედრის განმავლობაში ყველაზე ძალიან ცენტრალური ნახევარმცველები — როსტომ თორღაშვილი და გიორგი დარასელია გამოირჩეოდნენ. ამ უკანასკნელს ტაიმის მიწურულს ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსიც ჰქონდა, მაგრამ „გორდას“ მეკარემ, მამუკა ქორიძემ, შესძლო სიტუაციის განმუხტვა...

ფეხბურთელებმა მეორე ტაიმიც ნელ ტემპში წარმართეს, თუმცა სახიფათო მომენტები კვლავაც მრავლად იქმნებოდა ორივე კართან. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ქუთაისის“ დაცვის ცენტრში საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს „გორდას“ ფორვარდები და ერთ-ერთი მორიგი შეტევის დროს ვასილ მიქაშავიძეს უხეშად ეთამაშა ბეგლარ შავგულიძე და პენალტიც სრულიად დამსახურებულად დაინიშნა. რუსთაველთა ბომბარდირმა მამუკა ფანცულაიამ თავის ჩვეულ მანერაში შეასრულა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ანგარიშიც ორამდე გაზარდა. თავის მხრივ, ქუთაისელებმა არაერთი მწვავე კონტრშეტევით უპასუხეს მეტოქეს, რომელთაგან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა შედეგიანი — როსტომ თორღაშვილმა დაახლოებით ოცი მეტრიდან ბურთი დაბალ კუთხეში მოათავსა. ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე არც შეცვლილა, თუმცა გოლის გატანის შესაძლებლობა ორივე გუნდის ფეხბურთელებს ჰქონდათ — მამუკა ფანცულაიას, ტარიელ კაპანაძეს, თემურ ფაიქიძეს და სხვებს...

დასასრულ, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ქუთაისელთა და საერთოდ ქართული ფეხბურთის ვეტერანი, 34 წლის მერაბ მეგრელაძე, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ დაუბრუნდა მშობლიურ გუნდს შვეციის საკლუბო გუნდ „ჰოლმსუნდიდან“...

გუნდებმა ეს მეტად კორექტული შეხვედრა შემდეგი შემადგენლობებით ჩაატარეს:

**„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქახრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია (ბერიძე), მიქაშავიძე (დიმიტრიშვილი).**

**„ქუთაისი“: ჩხეიძე, თევზაძე, თორღაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ჯუღელი (ფაიქიძე), შენგელია, ჯანაშია (დვალიშვილი), მეგრელაძე, დარასელია, წივწივაძე (ხუხიაშვილი).**

გია ტუხაშვილი

**XXXI ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:**
**„იბერია“-„ბათუმი“ 8:1;**
**„მზიური“-„გურია“ 0:0;**
**„ოდიში“-„სამგურალი“ 8:1;**
**„კოლხეთი-1918“-„მერცხალი“ 4:1;**
**„ივერია“-„ხანავარდო“ 2:1;**
**„ამირანი“-„შევარდენი“ 1:0;**
**„დილა“-„ცხუმი“ 8:2.**

**სურათზე: „იბერიისა“ და „ბათუმის“ მატჩის ეპიზოდი.**

**გია ახალაძის ფოტო.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რკინის გვირგვინი ანუ ისინი მოვიდნენ

ღამეა. ჯველანი დათვლილები არიან. გრძელი ოთახი. ჩამწკრივებული საწოლები რამდენიმე რიგებად.

ერთ-ერთი საწოლის თავსასთუმალთან რკინის გვირგვინი დევს.

●

ეს იყო...

მოგიყვეთ?

ისევ ჩავრთავ დიქტაფონს და, დაუმონტაჟებლად, როგორც მაშინ, კონცერტის მერე, და იქ დამსწრეთა აზრებს მოგასმენინებთ.

გლურჯიძე თამარი, სახალხო ფრონტი — ყველა მოგვიცვა სინანულის და დანანების გრძნობამ, არავის არ გვახსოვს ახლა, რომ კონცერტში მონაწილე ადამიანები ამ წუთში დამნაშავეები, მსჯავრდადებულები არიან.

საღამო? ეს იყო დღე — სასწაული. არაჩვეულებრივი, ერთის მხრივ გულსატკენი, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავი, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე არავის დაავიწყდება...

მოსიაშვილი ნოდარი — საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი — ახლა ვერაფერს ვიტყვი, იმდენად ვარ აღელვებული, უაღრესად საჭიროა ასეთი საღამოები, თავი ისევ ქალებად იგრძნეს, ეს ერთი დღე დიდხანს გაჰყვება მათ მეხსიერებას.

თემურ მიქაძე — მოადგილე — ბრწყინვალე საღამო იყო. ამ საღამომ მსჯავრდებულები და ჩვენ თბილ ატმოსფეროში მოგვაქცია, ყველა საკითხი, რაც მათ გადასაწყვეტი ჰქონდათ, რაც აწუხებდათ, გულთან მივიტანეთ.

ვიქტორია ლეინი —ამერიკელი სტუმარი ატლანტადან, პროგრამისტი — პატიმრებს საშუალება მიეცათ თავიანთი შესაძლებლობები და გრძნობები სცენაზე გადმოეტანათ. მე ჩემს ქვეყანაში ვყოფილვარ ციხეებში, მაგრამ ასეთი კონცერტის მომსწრე — არასოდეს. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა კონცერტს დავსწრებოდი.

გოგი ლვინაძე — კოლონიის უფროსი — ძალიან გულღიები იყვნენ სცენაზე, არ ველოდი ასეთ საოცარ საღამოს...

●

თვენახევარია რეჟისორი რეზო გვარლიანი იღებს ფილმს, რომლის პირობითი სათაურია „რკინის გვირგვინი“. ოპერატორია ბესო ორმოცაძე, მხატვარი გელა ჯაფარიძე, მხატვარ-მოდელიორი მაგდა ჩიტიაშვილი, დირექტორი ემზარ ვასაძე, რეჟისორის ასისტენტები მაია გიგოლაშვილი, თამაზ ჰუმბურიძე და მე.

გადამღები ჯგუფი მადლობას უხდის თანადგომისათვის, საჩუქრებისა და შოუ-კონცერტზე გაღებული თანხისათვის; ქართულ-ებრაული ურთიერთობათა ასოციაციასთან არსებული ექსპერიმენტალურ საწარმო-გაფორმებით სახელოსნო „ზანავს“ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ზანავმა“ ბექა და ბეშქენ ოპიზარების მიერ შესრულებული ხატის ასლი შესწირა კოლონიის სამლოცველოს), ასევე მადლობას უხდის ღვთისშვილთა კავშირს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, ისანის რაი-სურსათვაჭრობას, საპარფიუმერიო ფაბრიკა „ივერიას“, „საქბაკალეას“, საბჭოთა-კავშირ-ავსტრიის ერთობლივ საწარმო „მეტეხს“, რეკლამისა და ტექსერვისის განყოფილებას, გაზეთ „შანსის“ რედაქციას, საპატიმრო ადგილების სამმართველოს, კოლონიის თანამშრომლებს, რკინის გვირგვინის ავტორს მხატვარ თემურ სულხანიშვილს.

●

ფილმში ეს შოუ-კონცერტი, რა თქმა უნდა შევა, მაგრამ ალბათ უფრო დამონტაჟებულად, რადგან გადაღებული მასალა ისედაც ბევრი და მრავალფეროვანია.

მაგრამ ეს საღამო-კონკურსი-თავისუფლება დაუმონტაჟებლად შევა კოლონიის ისტორიაში.

არსად მინახავს ასე თავისუფლად გამოსულიყვნენ სცენაზე და ასეთი უშუალოები ყოფილიყვნენ.

არა, არსად მინახავს ასეთი ემოციური სცენა. სიმღერებზე, ცეკვებზე და საკონცერტო ნომრებზე აღარ შევჩერდები, მას ფოტოებიდან მიხვდებით.

ჟიურისა და იქ დამსწრე ხალხის წასვლის შემდეგ, დავრჩით ძალიან შინაურები, ჩვენ და ისინი.

ისევ ჩავრთავ დიქტაფონს, მოგასმენინებთ, ჩაწერილია უცებ, იქვე. სასურველია გესმოდეთ ხმები, ისინი ტირიან აღელვებულები...

ალბატროსი — სასწაული დღეა, ჩვენ ის სულ გვემახსოვრება, მაგრამ ერთადერთი, რისიც გვეშინია, არ დაგვტოვოთ, ჩვენ ისე შეგეჩვიეთ, თვენახევარი კარებისკენ ვიყურებოდით, და მერე ვინმე ჩვენთაგანი დაიძახებდა, ისინი მოვიდნენო, ისინი მოვიდნენ... ვფიქრობ, ნუთუ ეს იყო მხოლოდ გადაღებისთვის?..

— ნანა კარაპეტიანი — ბევრმა არ იცის კოლონია რა არის, აქაური ცხოვრება, და გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესდნენ. ისე არ არის, როგორც გარეთ ჰგონიათ, რომ აქ კაციჭამიები არიან; ჩვენც ადამიანები ვართ. თქვენ რომ შემოხვედით, შემოიტანეთ თავისუფლება, რასაც მთელი წლები ველოდებოდით... უკვე ახლოვდება განშორება, ჩვენ ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ხელმეორედ ვილაც სასჯელს გვიმატებს, ყოველ საღამო - ველოდით, რომ „ქართული ფილმის“ წარმომადგენლები მოვლენ, სიხარულს შემოიტანენ და, რაც მთავარია, თქვენ ჩვენ დაგვანახეთ ნდობა, უკვე ვგრძნობთ, რომ ჩვენ არა ვართ გარიყული ხალხი, გაუბედურებული, რომ ჩვენც ქალები ვართ. თქვენ ის მოგვიტანეთ, რაც ვერავინ ვერ შეძლო წლების მანძილზე — ეს არის რწმენა.

წელან ვიტირე, ჩემი შვილი რომ ვნახე, უკვე იმხელაა, ცეკვა შეუძლია...

(საპატიმრო ადგილების სამმართველომ, კოლონიის ხელმძღვანელობამ იმ დღეს ნება დართო ახლო-ნათესავებს, შვილებს, ქმრებს კონცერტს დასწრებოდნენ)

— ნინო, ყოფილხარ აქ?

— არასოდეს.

— რას ფიქრობ?

— ყოველ ასეთ საღამოს ისევ გარეთ ყოფნა სჯობს.

ივაშკა — ეს დღე განუმეორებელია, ეს არ არის მარტო სიხარული, ეს იყო შეხვედრა თავისუფლებასთან.

— ჩვენთვის ეს დღე იგივე იყო, რომ ვინმეს ეთქვა, ვახტის კარებს გიღებთ, თავისუფლები ხართო...

ჯაჯუ — თითქმის ერთი თვეა რაც გიცნობთ, ასე მგონია ყველა ჩემი ახლობლები ხართ, და, ძმა, გინდა შენ, გინდ მაიკო, მაგდა, ბიძაჩემი რეზოს რომ ვეძახი, თითქოს ჩემი ნათესავები ხართ, ეს ადამიანობა გარეთ რომ მენახა მე აქ არ ვიქნებოდი დღეს.

— აღარ შემოხვალთ? აღარ შემოხვალთ?

სულ ისმის დარბაზში, სიბნელეში, სცენაზე, ბარაკში თუ ეზოში...

●

**(ჟიურის წევრები: ნოდარ მოსიაშვილი, თამარ გლურჯიძე, ნატო მაისაშვილი, ვლადიმერ გრიგოლაშვილი, ჟიურის თავმჯდომარე, ღვთისშვილთა კავშირის პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე).**

**სიმართლის პრიზი — ლუდა ზაბოლოტნაიას (ჟიდ),**

**საუკეთესო კოსტიუმის პრიზი — მარინა ხანიაშვილს (ბერია),**

**ყველაზე პატარა მონაწილე — როზა ჩომახიძე (ჯაჯუ),**

**ყველაზე ხნიერი მონაწილე — ნაზი ავეტისოვა (დიუმოვოჩკა),**

**ჟიურის თავმჯდომარის სიმპატიის პრიზი — ლიდია კრავეცი (ალბატროსი),**

**არსებობს კიდევ სამი პრიზი. მივყვები ისე, როგორც ჟიურის თავმჯდომარემ ზაზა სიხარულიძემ გამოაცხადა.**

**III-დან — ალა პეტროვეცი, საბანკო ანგარიშზე, შემნახველ სალაროში 500 მანეთი.**

**II ინგა ქოქოევა — 700 მანეთი,**

**I პრიზი — ირინა ჯესანოვა — 800,**

**და ყველაზე მთავარი პრიზი, თავისუფალი სამყაროს გრან-პრი, რომელსაც ჰქვია „მის თავისუფლება“, წილად ხვდა ანა კვირკველიას, დღევანდელი საღამოს წამყვან კონფერანსიეს და კონკურსში მონაწილეს, გადაეცა 1500 მან.**

●

ანა,

— დაღლილი ხარ?

— ...

— გვირგვინი?

— კარგია.

სიბნელეა. უცებ ჩემს ზურგს უკან რეზოსკენ ივაშკა გადაიწია,

არსად მომისმენია ასეთი ტონი, რაღაცნაირი, უთბილესი, ძალიან ჩუმად უთხრა, თითქოს დარბაზში და სცენაზეც ყველა ამას იმეორებდა,

უთხრა; — კარგია, რომ შენ ხარ ამ ქვეყანაზე.

**მთავარ პრიზს თავისუფლება ერქვა.**

**— აღარ შემოხვალთ?...**

**ნანა ლომიძე**



**მინაწერი: როგორც დღესასწაულებზე ხდება ხოლმე, იმ დღეს საკერვალო ფაბრიკამ არ იმუშავა, კონცერტზე მონაწილეებს ნება დაერთოთ რიგგარეშე შეხვედრებზე ახლობლებთან; მოეხსნათ დარღვევები, გამოეცხადათ მადლობები, შოუ-კონცერტის ყველა მონაწილემ და არამონაწილემ მიიღო სამახსოვრო საჩუქარი.**

**გადამღები ჯგუფი ეძებს სპონსორებს. დარეკეთ: 34-08-01 დამ. (2-04), დავით აღმაშენებლის პრ. 70.**

# კრიმინალური ქრონიკა

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დააკავეს ს. დ. (დაბ. 1968 წ.) მცხოვრები ჩოხატაურის რ-ში, რომელსაც ჩამოერთვა საბრძოლო ვაზნებიანი პისტოლეტი.

●

ქარელის რაიონში ლ. მ-შვილმა (დაბ. 1975 წ.) თვითნაკეთი იარაღიდან შემთხვევითი გასროლით დაჭრა ზ. თ. (დაბ. 1978 წ.).

●

ბათუმში ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადების, მიღებისა და გავრცელებისათვის საკუთარ ბინაში დააკავეს დ. მ-ძე (დაბ. 1954 წ.), რომელსაც ამოუჩინეს 1 კგ. 36 გრ. კოკნარი. მასთან ერთად დააპატიმრეს სხვა პირებიც.

●

ბიჭვინთის მილიციის განყოფილებას მიმართა თურქეთის მოქალაქემ ს. დ-მ, ერთ-ერთი ფირმის მძღოლმა, განცხადებით, რომ მისი ავტომანქანიდან დაუდგენელი ვინაობის დამნაშავემ მოიპარა 11 900 ამერიკული დოლარის ღირებულების მუსიკალური ინსტრუმენტები.

●

დუშეთის რაიონში წითელსოფელთან ამოჩენილია დაუდგენელი ვინაობის 24-27 წლის ქალის გვამი, დამწვრობისა და ფიზიკური დაზიანების ნიშნებით.

●

ქუთაისში ადრე ნასამართლევმა ე. კ-ძემ (დაბ. 1965 წ.) ჩხუბისას დანით დაჭრა თ. ჩ-ძე (დაბ. 1956 წ.).

●

თბილისში ე. გ-ძემ (დაბ. 1965 წ.) დანით დაჭრა ა. ტ-შვილი (დაბ. 1950 წ.), რომელიც გარდაიცვალა.

●

დმანისის რაისაავადმყოფოში მოათავსეს მ. ი-შვილი (დაბ. 1910 წ.), რომელმაც განაცხადა, რომ დაუდგენელი დამნაშავე შეიჭრა მის ბინაში და გააუპატიურა.

●

ოჩამჩირის რაიონში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ნ. კ-მ (დაბ. 1963 წ.). ნათესავები, რომლებიც ამ ფაქტის გამო ადანაშაულებდნენ შ. ა-ს თავს დაესხნენ ამ უკანასკნელის სახლს და ცეცხლი წაუკიდეს მას.

●

ფოთში დააკავეს ადრე ნასამართლევი, უმუშევარი მ. კ. (დაბ. 1965 წ.), და გ. რ. (დაბ. 1974 წ. უმუშევარი) მათ განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმა ნ. კ-ს სახლზე.

●

მატარებელში „როსტოვ-ერევანი“ დააკავეს ნ. რ. (დაბ. 1970 წ.), სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ამოაჩნდა 525 გრ. ჰაშიში.

**შენიშვნა: ყველა აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.**

# გელით ტაძართან!

შეგახსენებთ ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შევიკრიბებით ქაშუეთის ტაძრის ეზოში შაბათს, 3 ნოემბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე უქონელი თბილისელისათვის სამყოფ პროდუქტებს ამჯერად შეიძენენ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის თანამშრომლები.

ვთხოვთ ყველას, ვისაც აქვს გამოუყენებელი თბილი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი (ბავშვის სამოსის გარდა) მოგვაწოდონ ტაძართან.

**სათნოების ორდენი**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)**

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 27 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „საფარაში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი“ შეცდომით სხვა პიროვნებაა მოხსენიებული სასწავლებლის რექტორად. სინამდვილეში სასწავლებლის რექტორია ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. ავტორი ბოდიშს იხდის შეცდომისათვის.

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველად საქართველოს ისტორიაში

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ასოციაცია „ადორძინება“ გამოსცა ქართული ეპარქიების რუკა - „ქრისტიანული საქართველო“.
რუკები შეგიძლიათ შეიძინოთ ქართულ ეკლესიებში. შემოსული თანხა გადაირიცხება სოფელ ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ქრისტიანული . საქართველო



## კოოპერატივი „სავანე“

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „სავანე“ (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობაა — პორტრეტი — 2 წთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1, კოოპერატივი „სავანე“.

ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## კოოპერატივი „გობელენი“

ფრანგულ ფირმა „ITACO INTERNATIONAL“-თან ერთად გთავაზობთ ნებისმიერი ზომისა და ფორმის ქართული ხალხური შემოქმედების მოტივებზე შესრულებულ გობელენებს, აგრეთვე ფრანგულ სიურეალისტური გობელენის ტილოებს.

შეკვეთის მიღებიდან ორი დღის შემდეგ ნიმუშის დემონსტრირებისათვის და კონტრაქტის გასაფორმებლად მოგაკითხავთ მარკეტინგ სპეციალისტი.

შეკვეთები მიიღება

ტ: 36-40-67
38-85-80

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## ვიზების სათარგმნად

შეგიძლიათ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი №3. ტელ: 22-58-40 (11.00 სთ-დან 21.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## რეკლამის მსურველებს !

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, სატელევიზიო პროგრამები: „ილუზიონი“ და „ვიდეო-ვიდეო“ საუკეთესო რეკლამას გაუწევენ თქვენს საქმიანობას.

რეკლამები. შეგიძლიათ შეუკვეთოთ მისამართზე: ბუდაპეშტის №1 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ტ: 37-58-25

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“




ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში, ხელმოწერის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. ვ. კოსტავას ქ. № 14.